საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭეტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 14 ივნისი. 2023 წ. №68 (9600) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ვენეციის კომისიამ „ქართული“ დოლიგარქიზაციის კანონპროექტი მინასთან გაასწორა! 5

4

დიმიტრი ხუნდაძე:

ამის იქით მხოლოდ უფსკრულია!

გია გაბრიჭიძე

აგრესიული ლიბერალიზმი

კაცია-პროდასავლელი?!

3

ყოველი აჭარელი ქართველი ერის სულიერი სამკვიდროა!

სრულიად საქართველოს გვარეგის წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი ბრეგვაძის დიდი ძალისხმევით მნიშვნელოვნად გააქტიურდა გვარეგთან დაკავშირებული მრავალმხრივ საინტერესო ღონისძიებანი. მეორე წელია, რაც ბატონმა ირაკლიმ ტელეკომპანია ტვ „ქართულის“ არხზე დააფუძნა საავტორო გადაცემა „წუთისოფელი“. ყოველ სამშაბათს ტელემაყურებლების წინაშე გამოდიან ქართული გვარეგის წინამძღოლები და ერთგვარ ანგარიშს აბარებენ გვარში გაწეული მუშაობის თაობაზე.

სულ ახლახან „წუთისოფლის“ სტუმარი გახლდათ დიდაჭარის მკვიდრი ველიაძეების გვარის წინამძღოლი, პროფესიით ფილოლოგი, ჟურნალ „ლაკლაკეთის“ დამფუძნებელი და რედაქტორი, მეფუტკრეობის კოოპერატივის „წამლანას“ თავმჯდომარე ბატონი შალვა ველიაძე, იგი კარგახანია რაც ქრისტიანულად მოინათლა, ახლა კი თავისი გვარიშვილების გაქრისტიანებაზე ზრუნავს.

იხ. 6 გვ.

8

არ გაგიკვირდეს, მკითხველო!

ვერა პუტინი ყოველთვის იხვივით დადიოდა და... დადის!

საფრთხე, რომელიც აფხაზეთში ბზებსა და პალმებს განადგურებით ემუქრება 7

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი ექიმების გარეშე რჩება! 7

სილნაღმა თეატრალურ ფესტივალს პირველად უმასპინძლა 12

საუკუნის პრობლემა - ჰაერის დაბინძურება!

საქართველოში 2013 წლამდე გამოშვებული ავტომოგილების იმპორტი შეიზღუდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 12 ივნისის სხდომაზე განაცხადა.

„ჰაერის დაბინძურების საკითხი ჩვენ ყველას გვაწუხებს, ჩვენს ხალხს, მოსახლეობას, საზოგადოებას. ჩვენს დედაქალაქში და ასევე მსხვილ ქალაქებში არის ძალიან დიდი პრობლემა. ამის თაობაზე დეტალური კვლევები ჩაატარა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და მინდა, ამის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გაგაცნოთ.

ჩვენ უკვე დიდი ხანია, რამდენიმე წელია, საწვავზე დავაწესეთ სტანდარტი და „ევრო 5“-ის სტანდარტის საწვავი შემოდის საქართველოში. ამას, რა თქმა უნდა, მუდმივად მონიტორინგს უტარებს შესაბამისი სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო. დიზელი იყო დარჩენილი. ჩვენ წელს დიზელზეც მივიღეთ გადაწყვეტილება. შემოდის „ევრო 5“-ის სტანდარტის დიზელი და ბენზინიც, ხდება ხარისხის რუტინულად შემოწმება. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ, ზოგადად, დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა რაც დარჩა, ეს არის ჰაერის დაბინძურება, რაც დაკავშირებულია ძალიან ბევრ გაუმართავ ავტომობილთან. მოგეხსენებათ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასთან და ვფიქრობთ, ეს ყველაფერი დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. ჩვენ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანაში ავტომობილების „ევრო 5“-ის სტანდარტი შემოვიღოთ. ეს პრაქტიკაში ნიშნავს, რომ 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება. ჩვენი სურვილი და გადაწყვეტილება ასეთია, რომ რეგულაცია მსუბუქი ავტომობილებისთვის უკვე შევიდეს ძალაში 2024 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლის პირველი იანვრიდან. ამაზე ჯერ კიდევ ვმსჯელობთ. არსებობს გარკვეული მოსაზრებები და ამის თაობაზე გვინდოდა, რომ უფრო მეტი გონივრული ვადა მიგვეცა.

აღნიშნული თარიღებიდან ქვეყანაში ვეღარ დარეგისტრირდება „ევრო 5“-ის სტანდარტზე უფრო ცუდი ხარისხის ავტომობილი, თუმცაღა, ეს არ შეეხება ქვეყანაში უკვე არსებულ ავტომობილებს, როგორც რეექსპორტისა და ტრანზიტის მიზნებისთვის შემოსულ ავტომანქანებს“, – განაცხადა პრემიერმა.

საქართველო 2025 წელს უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს!

ვიწყებთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის მზადებას. **მოგეხსენებათ, 2025 წელს საქართველო უმასპინძლებს ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს, მიუჯეტიდან ჩვენ 100 მლნ ლარი უნდა გამოვყოთ!**

ოლიმპიური ფესტივალის უზრუნველსაყოფად თბილისსა და ბაკურიანში შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

„ბაკურიანში მოეწყობა ბიატლონისა და თხილამურებით რბოლის მოედანი, თბილისში აშენდება ყინულის სასახლე და სხვა ახალი ინფრასტრუქტურა დაემატება თბილისსა და ბაკურიანს. წელს 25 მლნ ლარი უკვე გამოყოფილია. ჯამში, ამ ფესტივალის ორგანიზება 100 მლნ ლარი დაგვიჯდება“...

მიმდინარე წლიდან თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში დაიწყება ჭარბი გამონაბოლქვის კონტროლი

ჩვენ უკვე მიმდინარე წლიდან დავიწყებთ თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში ხილული, ჭარბი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გზებზე კონტროლს.

ექვსი წელია, საწვავზე მაქსიმალურად დიდ კონტროლს ვაწარმოებთ. ხარისხი მოწმდება სისტემატურად. გეტყვით, რომ ჩვენ სხვა კომპლექსური ღონისძიებები დავგეგმეთ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეს გაუმართავი ავტომობილები რიგ შემთხვევაში მიზნესად არის გადაქცეული, ე.წ. კატალიზატორების საკითხი და პრობლემა. ჩვენ ამის თაობაზე საკითხი შევისწავლეთ და ვთქვით, რომ აუცილებელია კატალიზატორების ექსპორტის შეჩერება. ამიტომ ცალკე დადგენილებას გამოვცემთ და ქვეყნიდან კატალიზატორების გატანა აიკრძალება. სამწუხარო რეალობაა და პრაქტიკაში ჩვენ ვიცით, რომ ავტომობილებს აცლიან ამ დეტალს, კატალიზატორს და ყიდიან უცხოეთში. ეს არის პრობლემის მთავარი გამომწვევი. ამიტომ, ვფიქრობთ, ძალიან მალე შედეგი გვექნება. ჰაერის ხარისხი გაუმჯობესდება მას შემდეგ, რაც ამ სტანდარტს შემოვიღებთ. პარალელურად, გარემოს ეროვნული სააგენტო დაიწყებს ხარისხის სისტემატურ შემოწმებას.

საქართველოში სუროგაცია მხოლოდ ჩვენი მოქალაქეებისთვის!

„საკითხი, რომელიც, ვფიქრობ, საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს, ეს არის სუროგაციის საკითხი. რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შევქმენით დემოგრაფიის საკითხებზე მომუშავე საბჭო. ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რაც გამოიკვეთა, ეს არის სუროგაცია და ამასთან დაკავშირებული პრობლემები. იცით, რომ უცხოეთის მოქალაქეებს ბიზნესად აქვთ ქცეული და ბოლო წლებია, საერთოდ არავითარი რეგულაცია არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ შევისწავლეთ ევროპის მაგალითები. ზურაბ აზარაშვილის უწყება მუშაობდა დიდი ხნის განმავლობაში ამ თემაზე. მინდა, მაგალითები მოგიყვანოთ. ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორებიც არიან საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი, იტალია, ლიეტუვა, ესტონეთი, ამ ქვეყნებში სრულად არის აკრძალული სუროგაცია. არის ქვეყნები, სადაც ნაწილობრივ არის დაშვებული, როგორებიცაა ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, ჩვენი სურვილია, რომ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იყოს დაშვებული. ანუ უცხოეთის მოქალაქე ვეღარ შეუკვეთავს, უხეშად არ მინდა, ვთქვა, მაგრამ ხდება პირდაპირ შეკვეთის განთავსება. ეს ხდება ონლაინ, ვრცელდება ძალიან ბევრი რეკლამა და ვფიქრობ, ძალიან შემაშფოთებელია ამ საკითხის რეგულირების გარეშე დატოვება. ჩვენს მოქალაქეებს, ქალბატონებს სთავაზობენ ე.წ. სარფიან ბიზნესს. შემდეგ არავინ იცის, აქ დაბადებული ბავშვი ვის გაჰყავს, რომელ წყვილს გაჰყავს.

არის ინფორმაციები, რომ შეიძლება, ერთსქესიან წყვილებს გაჰყავთ და შეიძლება, უამრავი პრობლემა გამოვლინდეს! სხვა სირთულეებსაც გადააწყდა ჩვენი ჯანდაცვის სამინისტრო, ამიტომ ამას სჭირდება რეგულირება. შესაბამისი კანონპროექტი გაიგზავნება პარლამენტში და იმედი მაქვს, პარლამენტი მხარს დაუჭერს ჩვენს ამ ინიციატივას. ეს მხოლოდ დაშვებული იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის. ვიცი, რომ ბევრი მსურველია, ვისაც შვილი არ უჩნდება, ამიტომ მიმართავენ სუროგაციის მეთოდს და, რა თქმა უნდა, ეს მათთვის უნდა იყოს დაშვებული. ერთი მხრივ, ეს ძალიან დაეხმარება დემოგრაფიას და, ზოგადად, ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა უნდა დავუტოვოთ ჩვენს მოქალაქეებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის ინიციატივა, რომლითაც საქართველოში სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული, ინ ვიტრო განაყოფიერებასაც შეეხება

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, მთავრობის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საქართველოში სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული, ინ ვიტრო განაყოფიერებასაც შეეხება.

მისივე თქმით, შესაძლოა, აღნიშნული ინიციატივა იყოს ერთ-ერთი შესაძლებლობა ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების კუთხითაც.

„2024 წლის პირველი იანვრიდან არასაქართველოს მოქალაქეებისთვის იზღუდება სხვადასხვა რეპროდუქტიული მეთოდით როგორც ინ ვიტრო განაყოფიერება, ისე სუროგაცია. მოგეხსენებათ, დემოგრაფიულ პრობლემასთან დაკავშირებით ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიებას მივმართავთ. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი შესაძლებლობა, საშუალება დემოგრაფიული მიმართულებით. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვტოვებთ როგორც ინ ვიტრო განაყოფიერებას, ისე სუროგაციას. კანონპროექტი პარლამენტს მიმდინარე კვირაში გაეგზავნება, ვფიქრობთ, შემოდგომაზე უკვე დამტკიცდება, ხოლო 2024 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება და პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

„მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის საკითხები დაშვებულ იქნება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ ინ ვიტრო განაყოფიერების მაღალტექნოლოგიური მეთოდით შვილის გაჩენა, ასევე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს ექნება სუროგაციის უფლება. ეს მიმართულება არ იყო დარეგულირებული და დაკავშირებულია სხვადასხვა არაეთიკურ, ძალიან ცუდ პრაქტიკასთან, რადგან ბევრ საშიშროებას აჩენდა, იგივე ბავშვებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ძალიან დიდი გამოწვევაა ორგანოებით ვაჭრობასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.



ზურაბ აზარაშვილის კომენტარი:

– ერთი მნიშვნელოვანი და პრინციპული, რაც ამ კანონით რეგულირდება, არის უანგარობის პრინციპი. თუნდაც საქართველოს ის მოქალაქე, რომელსაც სურს, იყოს დონორი ან იყოს სუროგატი, უნდა მოქმედებდეს უანგარობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია, მიიღოს ის კომპენსაცია, რაც ამ პროცესთან დაკავშირებით უხერხულობას შეიძლება, ახლდეს თან; ან სამედიცინო გამოკვლევებს, შემდეგ მშობიარობას და ამ ხარჯებთან დაკავშირებულს.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის დაურეგულირებელი და იმ კონკრეტული ადამიანის მოტივაცია არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, მაგრამ ამას თან არ ახლავს ის რეგულაცია და კონტროლი, რამაც უსაფრთხოდ უნდა ჩაატარებინოს ეს პროცედურა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ფაქტი გვაქვს. ზუსტად აქედან გამომდინარეა, რომ რეგულირდება. საქართველოს იმ მოქალაქეს, ვისაც ამის სურვილი აქვს, საქართველოს მოქალაქისთვის იმავეს გაკეთება ისევ შეეძლება. მაგრამ არ შეეძლება უცხოეთში. რეკლამის შემთხვევაში, ვზღუდავთ აქ რეკლამას და არ შეეძლება უცხოეთის მოქალაქისთვის, არ მინდა ეს სიტყვა გამოვიყენო, იმავე სერვისის გაწევა.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, ხუთი წლის წინ წელიწადში დაახლოებით 1 000 შემთხვევა იყო როგორც სუროგაციის, ასევე დონორობის, დღეს კი უკვე წელიწადში 2 000-ზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული.

„გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის საკმაოდ ძვირადღირებული პროცესი, დამკვეთები ძირითადად არიან არა საქართველოს მოქალაქეები“.

მისივე თქმით, აღნიშნული მიმართულების დარეგულირების რეკომენდაცია არსებობდა ჯერ კიდევ 2004 წლიდან და აღნიშნულ პუნქტს ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულებაც.

ᲙᲐᲪᲘᲐ-ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ?!

ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ „ᲙᲐᲪᲘᲐ-ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ?!“ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲓᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑ:

„ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲫᲝᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲖᲝᲒᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲙᲐᲬᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ „ᲛᲘᲨᲐ“ ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲮᲐᲜ „ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲕᲘᲜᲚᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ, ᲘᲐᲕ-ᲜᲐᲜᲘᲜᲐᲝ!“ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲜ „ᲒᲕᲫᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲝᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“.

ᲘᲥᲕᲔ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲮᲛᲐᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ — ᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲖᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲙᲣᲓᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲮᲝᲛ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ? — ᲓᲘᲐᲚ, — ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲮᲛᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

— ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲙᲐᲚᲘᲣᲠᲐᲜᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲓᲒᲝᲛᲝᲓᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲐ, — ᲘᲡᲘᲪ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲔᲗ?

— ᲓᲘᲐᲚ, ᲓᲘᲐᲚ, ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ! — ᲘᲫᲐᲮᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ.

— ᲘᲛ ᲙᲣᲓᲘᲐᲜ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲚᲔᲨᲐᲞᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ ᲒᲐᲣᲨᲚᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲣᲗᲘᲫᲕᲐᲛᲗ, ᲠᲝᲛ — ᲐᲫ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲛᲐ ᲓᲐᲘᲓᲐᲑᲚᲐ — ᲔᲒᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜᲝ.

ᲐᲘ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲰᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ „ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ“.

ᲔᲠᲗᲘ შᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ. ᲓᲘᲐᲮ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡწᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲕᲘᲡᲖᲔᲪ „ᲕᲦᲐᲓᲐᲝᲛ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲨᲘᲪ „ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ „ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ, ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲐ.

ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ დᲐᲛᲘწᲔᲠᲘᲐ და აღარ გავიმეორებ იმას, რომ ეს უბედურება საქართველოში მაშინ დაიწყო, როცა დემოკრატიისა და თავისუფლების შესანიშნავ იდეას აგრესიული, ტროცკისტული იდეებით გაჟღენთილი, ნეო-ბოლშევიკურ-ფაშისტური სიო შემოჰყვა.

ამით ძალიან კარგად ისარგებლეს ყოვლად უნიჭო, ინტელექტისა და განათლების არმქონე არამზადებმა და რეალური საქმიანობის ნაცვლად თავი „პოლიტიკაში“ იპოვეს.

ათასგვარი მაქინაციებით გახდნენ „ლიდერები“, „ცნობადები“, დაასხდნენ ბიუჯეტს, ხელში ჩაიგდეს მედია და...

აბა რას გიყვებით, თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით?

სწორედ ამ აგრესიული ნეო-ლიბერალიზმის შემოჭრამ გამოიწვია პირველ რიგში განათლების, კულტურის, ტრადიციების დეგრადაცია და შესანიშნავი სიტყვა „თავისუფლება“, სიტყვა რომელიც საკუთარი თავის უფლად, ანუ არჩევანის საკუთარი ნებით გაკეთების საშუალებას იძლევა, ცხოველური ვნებების დონეზე დავიდა.

ეს ცხოველური აღტყინება განსაკუთრებით მედიაში გაფუვდა და სრული დატვირთვით ცდილობს წაბილწოს ყველაფერი ჯანსაღი, ნორმალური, ადამიანური.

წინასწარ ბოდიშს ვიხდი იმ შეფასებისთვის, რაც ბატონ როინ მეტრეველის წინააღმდეგ ვინმე „ჟურნალისტის“ (გვარი ვიცი, მაგრამ იმდენად საზიზღარი ტიპია, არ ვწერ) მიერ მოწყობილ პროვოკაციასთან მიმართებაში გამოვხატე. ეგ კი არა, უფრო მეტიც უნდა დამეწერა, მაგრამ გაზეთს, მკითხველს ვცემ პატივს და დარწმუნებული ვარ მიხვდებით, რა არ დავწერე.

პირდაპირ ვიტყვი, რომ არ არის საჭირო რაღაც „ძიმაკრატიული შეფასებები“ — უღირსები არიან. არ იციან ასაკი. პატივს არ სცემენ ღვაწლმოსილ ადამიანებს. მათ თავისი ნამდვილი სახე კიდევ ერთხელ აჩვენეს და მსგავსი სისულელეები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის არსებები, ვის თავებშიც აკადემიკოს როინ მეტრეველის წინააღმდეგ ასეთი ნაძირალობა მოიხარშა, დამპალი თესლისგან აღმოცენებული, ასეთივე დამპალი აზროვნების მატარებლები და ადამიანებისთვის ძალიან საშიშები არიან.

ჰგონიათ და უხარიათ, რომ „მაგარი რაღაც“ გააკეთეს.

აი, ეს „სიხარულია“ ყველაზე საშიში!

სინამდვილეში კი არაფერიც არ გააკეთეს. უბრალოდ, ჩაისვარეს და თავიანთი ბინძური უკანალიდან გამოსული სული დაანახეს ყველას.

ეს არც აღზრდის ბრალია, არც იმის, რომ ამ სიბინძურეში ფული აიღეს. არც დავალების მიმცემის და არც მათი დეგრადირებული მსოფლმხედველობის.

ეს იმ აგრესიული ლიბერალიზმის „დამსახურებაა“, რომელიც ანაკონდას მსგავსად შემოგვეხვია და ჩვენი „პროდასავლური პრინციპების“ წყალობით გვახრჩობს.

და ის მეძავური წარსულის და სულის „ექიმი“ რომ გამოეკვეხა, გიულასთან ერთად ფოტოს იღებს და ღირსებაზე, თვითმკვლელობაზე ლაპარაკობს, უბრალოდ, თმებით სათრევია!

„ექიმი“, რომელიც მანიაკი მოძალადის „განთავისუფლების შტაბში მოღვაწეობს“.

კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას: მიხედეთ ამ ტერორისტებს. მიხედეთ ისე, რისი ღირსიც არიან. მიხედეთ, სანამ ხალხი გადასულა ჭკუიდან, თორემ რა შედეგებიც იქნება, ჩემზე უკეთ იცით.

ამ რამდენიმე დღის წინ „ტვ პირველმა“ გაავრცელა ნიუსი — **LGBT წარმომადგენლებს პოლიტიკურ იარაღად იყენებენ — მდინარაძე შვილების თაობის წინააღმდეგ.**

ამ ნაძირლებს სურთ გვითხრან, რომ ჩვენი შვილების თაობა LGBT „როჟები“ არიან?

ტყუილი, ბოროტება, უსინდისობა, ყველაფრის დამახინჯება - აი ეს არის ამ "ნიუსის" არსი.

ეს ღვარძლი რაც ამ ერთ მცირე „ინფორმაციაშია“ არა „ოცნების“, არა ქართველების, არა ჯანსაღი, ნორმალური ადამიანების წინააღმდეგ, არამედ საერთოდ ყველას წინააღმდეგაა მიმართული.

რის მიღწევას ცდილობენ ასეთი საზიზღრობით?

დამატებითი გრანტი?

მამუკა მდინარაძის წინააღმდეგ ხალხის აღშფოთების გამოწვევა?

რაიმე პოლიტიკური დივიდენდები?

არცერთი!

ეს მათი შინაგანი ბუნების გამოაშკარავებაა.

დაწერეს, გაავრცელეს და კმაყოფილება იგრძნეს.

ის კმაყოფილება, რასაც მანიაკი განიცდის.

საზოგადოებისთვის ძალიან საშიში ჯგუფია. ნებისმიერ ტერორისტებზე საშიში.

ფუი, მაგათი უჯიშო ჯილაგი რა ვთქვი!

ამ ყველაფერს და კიდევ ბევრ სხვას თავისი სახელი უნდა დაერქვას და პასუხი უნდა გაეცეს.

სწორედ ეს პასუხგაუცემლობა იწვევს იმ საკმაოდ უცნაურ აღქმებს და შესაბამისად გაურკვეველი მიმართულების შეფასებებს, რომლებსაც სოციალურ ქსელში იმ ხალხისგან ვხვდები, ვისაც საკმაოდ დიდ პატივს ვცემ.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენი აღქმები და შეფასებები ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია უნდობლობის ის ე.წ. სწორხაზოვანი გამოხატვა, რასაც ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ვხვდები.

ყოველგვარი „დემოკრატიულად პოეტური“ შესავლის გარეშე ვიტყვი, რომ ნაცებთან, არასამთავრობოებთან, ოპოებთან და მსგავს ნაძირლებთან მიმართებაში თუ ზედმეტად არა, არავისზე ნაკლები რადიკალი არ ვარ და არც იმას დავმალავ, რომ ფრაზა "ევროპაც გაოცდება“ მეც ძაალიან არ მომწონდა (დიახ, სწორედაც რომ არ მომწონდა!).

იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის მზე არც ბრიუსელიდან ამოდის, არც ვაშინგტონიდან, არც კიევიდან და არც ევროპარლამენტზე, ზელენსკიზე და პუტინზე ლოცვაში ვიტყავებ მუხლებს.

ახლა რაც შეეხება იმ უსაგნო კრიტიკას, რომელიც ირაკლი კობახიძისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს მოჰყვება:

ამ კრიტიკის ძირითადი მიმართულება ნაცების, არასამთავრობოებისა და ოპოების მისამართით გაკეთებულ განცხადებებს მოსდევს ფორმულით „აქამდე რას აკეთებდით“.

იმასაც პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ნაძირალებისთვის „ежовые рукавыци“ მეც ძალიან მინდა, მაგრამ თქვენი გამკვირვებია:

1. რომ გკითხონ, ევროპა გინდათ და ამავე დროს 37 წელი!..

2. რომ გკითხონ, ლევანაბერძენიშვილა ტიპები არ გევასებათ, მაგრამ როცა ხვდებით, ესალმებით!..

3. რომ გკითხონ ილიაუნი ნაძირლების ბუდეა, მაგრამ იმ ახლობლებს, ვისი შვილებიც იქ დადიან, არაფერს ეუბნებით (სიტყვა „სწავლა“ სპეციალურად არ დავწერე)!..

4. არასამთავრობოები არ მოგწონთ, მაგრამ კანონი „რუსულია“.

5. ომი არ გვინდა, მაგრამ ევროპის და უკრაინის უნდა გვრცხვენოდეს!..

6. „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა არ შეიძლება, მაგრამ ხელისუფლებამ ძალას გადაამეტა!..

7. . .

თუმცა, რა გითხრათ, ჩემზე უკეთ არ იცით?

ჰოდა, ეგრე არ გამოვა.

ევროპა, დასავლური ღირებულებები კარგია.

ტრადიციების, იდენტობის, მენტალობის და კულტურის უარყოფა ცუდი და როცა ვინმე ხელისუფალი ამ ცუდს თავის სახელს არქმევს — აქამდე სად იყავიო კი ნუ გამოეკიდები, გვერდში დაუდექი, თუ შეგიძლია და ის გააკრიტიკე, რაც გასაკრიტიკებელია.

„ცოცორი ტოტორში და სული სამოთხეში“, არა რა!.

აღარ არის სალონური მსჯელობები და ზეცისკენ მიპყრობილი სევდიანი მზერით ხვნეშა.

საქმეა გასაკეთებელი, საქმე, რომელსაც ხალხის მეტი ვერავინ, ვერცერთი პოლიტიკური ძალა ვერ გააკეთებს!

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ

ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ, ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ.

ᲔᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ 1957 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲭᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲮᲘᲜᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲝᲘᲜᲘᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲠᲬᲧᲛᲣᲚᲘᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲡ.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲝᲘᲜ ᲓᲐ ᲘᲝᲢᲘᲡᲝᲓᲔᲜᲐ ᲔᲭᲕᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲭᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲦᲕᲐᲬᲔᲑ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ.

ᲪᲔᲖᲐᲠ ᲚᲐᲨᲮᲘ,
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

SOS!
მეგობარი დასავლეთის გასაგონად!
№68. ოთხშაბათი, 14 ივნისი, 2023 წელი.

ამის იქით მხოლოდ უფსკრულია!

დიმიტრი ხუნდაძე: უცხოელო პარტნიორებო, არ დაგავიწყდეთ, რომ სტუმრები ხართ!

„მსურს, განცხადება გავაკეთო იმ თემაზე, რაც ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს და ტრადიციულად მოაზროვნე პიროვნებას აშინებს. დიახ, აშინებს და არა მხოლოდ აღელვებს. საქმე ეხება თანამედროვე მსოფლიოში ლგბტ თემის ისტერიულ, მიზანმიმართულ პროპაგანდას. ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ თუნდაც ამერიკაში, რუზველტის, ლინკოლნის, რეიგანისა და სხვათა ქვეყანაში ამერიკის სახელმწიფო დროშას ლგბტ ფერადი დროშა ჩაანაცვლებდა. აღარაფერს ვსაუბრობ სხვა ტრადიციულ და განსაკუთრებით, ორთოდოქსულ სახელმწიფოებზე. რა ხდება? რატომ არის ასეთი დაუნდობელი ბრძოლა მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც ტრადიციების, რწმენის, ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ? რაში სჭირდებათ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ასეთი მასშტაბური პროპაგანდა და პოპულარიზაცია? ხომ ყველამ ვიცით, რომ მათ არავინ ეხება და მათ უფლებებს არავინ ზღუდავს. მათ არავინ ერჩის. მაშ რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი? განსაკუთრებით, დღეს, ამ ურთულეს გლობალურ პროცესებში?

პასუხი არც ისე მარტივია, რადგან სწორედ ადამიანის უფლებრივ დაცვას და დემოკრატიას ამოფარებულები შენიღბულად მოქმედებენ ახალგაზრდა თაობის გასარყვნელად, თუმცა უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდნენ და შეეხნენ ბავშვებს, ყველაზე სუფთა ასაკს. ეს უკვე საგანგაშოა. ამის იქით მხოლოდ უფსკრულია, საითკენაც მიაქანებენ ჩვენს ქვეყანას. საქართველოში ბავშვებს დედა ენას ურიგებენ და არა ერთსქესიანთა ოჯახური ცხოვრების წესებს აცნობენ, რაც არ უნდა კარგად იყოს ეს ნამღერი. როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, ბევრი ამბობს – უფალი არ გაწირავს საქართველოსო. არა, ეს ნამდვილად ასე არ იქნება, თუკი ჩვენ თავად გავწირავთ ჩვენს ქვეყანას და არ დავიცავთ საკუთარ შვილებს. დღეს ქართულ პოლიტიკაში ცოდნისა და უმეცრებისა, რწმენისა და უღმერთობის, სიკეთისა და ბოროტების ორთაბრძოლაა. სამწუხაროდ, ბოროტი ძლიერია. იმდენად ძლიერი, რომ ქართველებს, არა უმრავლესობას, მაგრამ მაინც ქართველებს, საკუთარი ხელით ანადგურებინებს საკუთარ ქვეყანას, თუმცა არც ისეთი ძლიერი არიან, რომ ამ ქვეყნის გაქრობა შეძლონ.

თუკი ამერიკის პრეზიდენტს ლგბტ თემის წარმომადგენლების ხმები, სხვა მიზნებთან ერთად, არჩევნების მოსაგებად სჭირდება, საქართველოში ამის პროპაგანდა სიტუაციის ასარევად, ყველაზე ხელუხლებელი – რწმენის გასანადგურებლად და ქართული სინდისის გასაქრობად სურთ. ახლოვდება ივლისი და დაანონსებულია ლგბტ პრაიდი, ზუსტად ამერიკის დამოუკიდებლობის დღის პერიოდში, ალბათ მათი მფარველობის იმედით.

მივმართავ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, თქვენ საქართველოში მართალია, საპატიო დიპლომატიური მისიით ბრძანდებით და გიდასტურებთ პატივისცემას, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სტუმრები ხართ. მიუხედავად თქვენი აუცილებელი და საჭირო სტუმრობისა ჩვენს ქვეყანაში, სტუმრები ვერ შეცვლიან საქართველოში მასპინძლის ადათ-წესებს. ჩვენ არავისგან გვესწავლება ტოლერანტობა და არც არავისგან მივიღებთ ამაზე მითითებებს. იმედს ვიტოვებ, ლგბტ თემას, ევროკავშირის წევრის სტატუსის მინიჭების პროცესში, შანტაჟის კიდევ ერთ იარაღად არ გამოიყენებთ, და თუ მაინც შეეცდებით, საზოგადოებისგან პასუხი იქნება შესაბამისი. ეს ქვეყანა სწორედ ღირსებით, რწმენისა და ტრადიციების პატივისცემით მოვიდა აქამდე. ჩვენ დღეს, მის მომავალს ფერად წერტილს ვერავის დავასმევინებთ“!..

მოლაპე ოპოზიციასთან პოლარიზაციის დაძლევა აბსოლუტურად შეუძლებელია!

პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების დასაბლოკად ემზადებიან?!

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე. ივნისის ბოლომდე რეკომენდაციები შესრულებული იქნება და შესაბამისად, ოფიციალური თბილისი იმედოვნებს, რომ დეკემბერში ევროკავშირი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და ქვეყანა აუცილებლად მიიღებს კანდიდატის სტატუსს. არსებობს მოლოდინი, რომ ევროპული საბჭოს მხრიდან ისევ განმეორდება უსამართლო პოლიტიკური გადაწყვეტილება.

არსებული ინფორმაციით, პოლონეთმა და ბალტიის ქვეყნებმა შესაძლოა, დაბლოკონ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ როგორი იქნება ევროპული საბჭოს საბოლოო ვერდიქტი, ეს უკვე დეკემბერში გახდება ცნობილი. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას მხარს უჭერს გერმანია. გერმანიის კანცლერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა, აქვე ოლაფ შოლცმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, მიმართონ აუცილებელ ძალისხმევას და უახლოეს კვირებში გაატარონ სწრაფი და გაბედული რეფორმები. შოლცი რეფორმების აუცილებლობაზე საუბრობს, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი კი საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ისევ რუკაზე ეძებს.

სანამ ევროპული სახელმწიფოები საქართველოს საკითხს შეისწავლიან, ვითარება არ იცვლება საქართველოში. პოლარიზაცია არის პრობლემური პუნქტი, რომელიც რეფორმებით ვერ დასრულდება და ამას ოპოზიციაში რადიკალიზმის შემცირება სჭირდება. სწორედ პოლარიზაცია არის ის პუნქტი, რომელსაც ოპოზიცია მიზანმიმართულად არ ასრულებს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე. ივნისის ბოლომდე დასრულდება ყველა რეფორმის განხორციელება და ქვეყანა იქნება თავიდან ბოლომდე მზად იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. მისი განმარტებით, პარტნიორები ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე ინფორმირებული არიან. გარდა ამისა, ირაკლი კობახიძე აღნიშნავს იმასაც, რომ პოლარიზაციის პუნქტი პრობლემურია.

„რა თქმა უნდა, პოლარიზაცია არის პრობლემური პუნქტი, პოლარიზაცია რეფორმებით ვერ დასრულდება, პოლარიზაციას ოპოზიციაში რადიკალიზმის შემცირება სჭირდება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ნაბიჯები არ იდგმება. რაც შეეხება იმ პუნქტებს, რაზეც ჩვენ პასუხისმგებლობა გვეკისრება, ეს არის რეფორმები, თანამდებობის პირთა არჩევა, ჩვენ ყველა შესაბამისი პუნქტი სათანადოდ შევასრულეთ ან ივნისის ბოლომდე შევასრულებთ. ბუნებრივია, ჩვენ ჩვენს პარტნიორებს მუდმივად ვუზიარებთ ინფორმაციას რეფორმების განხორციელების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პირნათელი ვართ რეფორმების განხორციელების კუთხით. ჩვენი პარტნიორების ფართო ინფორმირება არის ჩვენი პასუხისმგებლობა და მას ვასრულებთ“, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

უმრავლესობის წევრის **მაკა ბოჭორიშვილის** განცხადებით, ქართული ოპოზიცია ბრიუსელში ქმნის ისეთ აღქმას, რომ თითქოს საქართველოში არაფერი გაკეთებულა რეკომენდაციების შესასრულებლად, რაც აზიანებს შეფასების პროცესს.

„ისინი ბრიუსელში ქმნიან ისეთ აღქმას, თითქოს საქართველოში არაფერი გაკეთებულა რეკომენდაციების შესასრულებლად, რაც, რა თქმა უნდა, აზიანებს შეფასების პროცესს. ბრიუსელში ინფორმაციის ჩამომტანი არის არა მხოლოდ მმართველი პარტია, არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, ინფორმაციის ჩამომტანი ძალიან ხშირად არიან ის ადამიანები, რომლებსაც პროცესში მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ პროცესსა და რეკომენდაციებს სხვაგვარად განმარტავენ“, – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

ოპოზიციური ფლანგიდან ვინც თვლის, რომ საქართველოსთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება დადებითი, პარტია „გირჩის“ წევრი **სანდრო რაქვიაშვილია,** რომლის განცხადებით, ევროკავშირის მოთხოვნების დიდი ნაწილი შესრულებულია და იმედი აქვს, რომ ევროპელი ლიდერები სწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრება.

„რაც შეეხება 12 პუნქტს და შესრულებას, პრინციპში, პროცესი დასრულებულია. გასაგებია, რომ ამ მომენტისთვის სავარაუდოდ, რამდენიმე პუნქტი არ იქნება შესრულებული, პოლარიზაციის ნაწილი, სასამართლო რეფორმის და ოლიგარქიზაციის. პოლარიზაცია გასაგებია, რომ ორივე მხარეზეა – ოპოზიციაზეც და „ქართულ ოცნებაზეც“, დანარჩენ ნაწილში „ოცნების“ პასუხი დამაჯერებელი იყო. მაგრამ, იმედი მაქვს, იმის მიუხედავად, რომ ოქტომბერში არ გვექნება ეს პუნქტები შესრულებული, პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება დადებითი“, – აღნიშნავს **სანდრო რაქვიაშვილი.**

თამთა ძარჩავა

ვენეციის კომისიამ „ქართული“ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი მიწასთან გაასწორა

დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი არსებული ფორმით არ უნდა იყოს მიღებული, ხოლო ოლიგარქიულ გავლენასთან საბრძოლველად საჭიროა არა პერსონალური, არამედ სისტემური მიდგომა, – ამის შესახებ აღნიშნულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციაში, რომელიც საქართველოს მმართველი პარტიის მიერ შემუშავებულ „დეოლიგაქრიზაციის შესახებ“ კანონპროექტს ეხება.

ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში ვკითხულობთ:

...იმის ნაცვლად, რომ ამ მრავალ სექტორალურ, სისტემურ მიდგომას მიჰყოლოდა, საქართველომ გადაწყვიტა ოლიგარქიზაციის დამანგრეველ გავლენასთან საბრძოლველად, სხვაგვარი „პერსონალური მიდგომა“ აირჩია და მოამზადა დეოლიგარქიზაციის კანონი. ეს „პერსონალური მიდგომა“, როგორც ეს მითითებულია გადამუშავებულ კანონში, მიისწრაფვის პერსონების იდენტიფიცირება მოახდინოს „ოლიგარქებად“ სპეციფიკური კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა სიმდიდრე, მედიამფლობელობა და ა.შ. და უწესებს მათ რიგ შეზღუდვებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის გადამუშავებულ ვარიანტში, სადამსჯელო ზომებისა და შეზღუდვების უმეტესობა გაუქმებულია, ამ კანონის მუხლების შესაძლო თვითნებური გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლება, უქმნიდეს საფრთხეს კანონის უზენაესობასა და პოლიტიკურ პლურალიზმს.

ვაღიარებთ რა, რომ ოლიგარქიულ გავლენასთან ბრძოლაში უნივერსალური მიდგომა არ არსებობს და რომ ზოგიერთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიცაა, მაგალითისთვის, სახელმწიფოს მიტაცება, რადიკალური ზომები, როგორიც არის პერსონალურ ხასიათის ზოგიერთი ზომა, შეიძლება იყოს გამართლებული, დროებითი და განსაკუთრებული საფუძვლებით, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს დამატებითი ზომები და არა სისტემური მიდგომის ალტერნატივა. თუმცა, თუ ასეთი საჭიროება იქნებოდა, ასეთი ზომები უნდა შემუშავებულიყო პოლიტიკური პლურალიზმისა და კანონის უზენაესობის სტანდარტების სრული დაცვით. ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს მკაფიო ლეგალური კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიები და სამართლიანი სამართლებრივი პროცესი. ასეთი წინაპირობები, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება ამ კანონების კონსტრუქციას. ამაში მდგომარეობს დღევანდელი ფორმით წარმოდგენილი დეოლიგარქიზაციის კანონების უდიდესი პარადოქსი: თუ ადმინისტრაცია და სასამართლო სისტემა ძლიერია და საკმარისად დამოუკიდებელი, რომ მხარი დაუჭიროს „პერსონალური ზომების“ მიღებას, როგორც ეს არის აღწერილი, მაშინ ეს ზომები მეტად აღარ არის საჭირო, რადგან წინაპირობები დაცულია, რათა აამუშაო უფრო მეტად სისტემური და ეფექტური სტრატეგია. ხოლო თუ პირიქითაა და ადმინისტრაცია და სასამართლო სისტემა „მიტაცებულია“ იმ ინტერესების მიერ, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლისკენ არის მიმართული „პერსონალური ზომები“, მაშინ ასეთი ზომები არის არაეფექტური, რადგან მიღებულია აღმასრულებელი აქტების მეშვეობით, რომლებსაც სრულად არ გაუვლიათ ეფექტური სასამართლო კონტროლი, და ეს ძალზედ სახიფათოა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისთვის.

ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევს, არ მიიღონ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის შესწორებული ვარიანტი და ქვეყანაში ოლიგარქიულ გავლენასთან საბრძოლველად:

- **ჩაატაროს არსებული სისტემური ზომების ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი, მათი ხარვეზების სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და კოორდინაციის თვალსაზრისით;**
- **შეიმუშაონ მაკორექტირებელი, დამატებითი ან ურთიერთშემავსებელი კანონმდებლობა ან ზომები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს:**
- **ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებას და განხორციელებას;**
- **მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და კორუფციის პრევენციას, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის, ანუ GRECO-ს რეკომენდაციების შესაბამისად;**
- **სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დაცვას;**
- **მედიის პლურალიზმისა და მედიის მფლობელობის გამჭვირვალობის განმტკიცებას;**
- **ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესებას, მათ შორის იურიდიული პირებისა და ღონისძიებების გამჭვირვალობას, აგრეთვე ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის დროულ და ეფექტურ წვდომას MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;**
- **პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესებისა და არსებული კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას;**
- **ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში;**
- **ძირითადი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის გაძლიერებას;**
- **შეაფასოს, თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა ინსტიტუტს (ანტიკორუფციულ ორგანოებს, ანტიმონოპოლიურ კომიტეტს, სახელმწიფო აუდიტს, საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს და ა.შ.) უკეთ იმუშაონ ერთად, რათა თავიდან აიცილონ და აღმოფხვრან „ოლიგარქიული“ გავლენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; რეგულარულად შეაფასოს ასეთი ღონისძიებების გავლენა;**
- **ამგვარად, ოლიგარქიული გავლენის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, დანერგოს ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც ფოკუსირებული სტრატეგიისჰსამოქმედო გეგმის მეშვეობით გაუმკლავდება ოლიგარქიზაციის პრობლემას, ამ პრობლემის ურთიერთდაკავშირებული ბუნების აღიარებით, რაც კანონის სხვადასხვა სფეროსა და მათ განმახორციელებელ ინსტიტუტებს შორის დაკავშირების საშუალებას მისცემს;**
- **განახორციელოს იგი დაუყოვნებლივ, გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულად!**

ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ ზემოაღნიშნული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით, უნდა განხორციელდეს სასამართლო სისტემის ერთიანი (ჰოლისტური) რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მის დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს.

ვენეციის კომისია მზადაა, საქართველოს ხელისუფლებას ნებისმიერი შემდგომი დახმარება გაუწიოს.

კომენტარები დაჩაგრული საქართველოდან:

„ვიდრე რეკომენდაციები გაჩნდებოდა, მანამდეც ვსაუბრობდით, რომ დეოლიგარქიზაციაზე ოპოზიციის განცხადებები არ იყო მართებული და მათთვის შეიძლება, არახელსაყრელი აღმოჩენილიყო. ეს ყველაფერი ახდა და ახლა, როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, მათ ესაჭიროებათ, რომ ამასაც დაუპირისპირდნენ. პრაქტიკულად, უკრაინას იმავე შინაარსის კანონპროექტი ჰქონდა მიღებული.

ევროკომისიის ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი ამბობდა, რომ ეს იყო კარგი კანონი, შესაბამისად, უკრაინას მუშაობა მის აღსრულებაზე უნდა დაეწყო. ასეთ დროს როგორ შეიძლება, ეს მოსაზრება საქართველოსთან მიმართებაში იყოს განსხვავებული, ეს გასაგები არ არის. კანონის ამოქმედების თარიღი ზუსტად ისეა განსაზღვრული, რომ ყველასთვის იქნება შესაძლებლობა, პოზიციებში სიცხადე შეიტანონ და ამ საკითხზე იყოს საერთო კონსენსუსი. მაშინ, როცა თავად ოპოზიციამ არ იცის, რა უნდა და თვითმიზანი აქვთ, რაიმე კრიტიკული თქვან, ასეთ ფონზე კონსენსუსის მიღწევა ჭირს“...

მიხეილ სარჯველაძე

უკრაინას ტაში დაუკრეს და საქართველოს შემთხვევაში არ მოსწონთ!

„იუპიტერის და ხარის ამბავი, ხომ იცით? ჰოდა... ერთი და იგივე კანონპროექტი გადაიგზავნა დეოლიგარქიზაციაზე ვენეციის კომისიას, თუმცა უკრაინას ტაში დაუკრეს და საქართველოს შემთხვევაში არ მოსწონთ... ნეტა რატომ? კითხვაზე პასუხს რადიკალური ოპოზიციის განცხადებებიდან მივიღებთ. დაიწყება ისტერია და მარტივად გავარკვევთ, რა დავალება მოუვიდათ ჩვენს „ეროვნულ ბენეფიციარებს“ პატრონებისგან. ნეტა, რა ნარატივის განვითარებას სთხოვენ? დაველოდოთ“...

ზურაბ ქადაგიძე.

ირაკლი კობახიძე: კეზერაშვილი არის ოლიგარქი და უნდა მოხდეს დეკეზერაშვილიზაცია

„ევროკომისია თვითონვე თუ არ ემხრობა პერსონალიზებულ მიდგომას, ეს უნდა აისახოს 12 პუნქტში. როგორც კი დეკემბერში ამოიღებენ ჩანაწერს დეოლიგარქიზაციის შესახებ, მაშინვე, უკვე თებერვალში გავაუქმებთ კანონს. ვენეციის კომისია ხომ არ არის განმსაზღვრელი, განსაზღვრელია ევროკომისია. ევროკომისია თუ იტყვის, რომ აღარ უნდა პერსონალიზებული მიდგომა, რასაც მანამდე ითხოვდა, ჩვენ გავიზიარებთ, გავაუქმებთ, მაგრამ თუ შეინარჩუნებს პერსონალიზებულ მიდგომას 12 პუნქტში, კანონი ძალაში დარჩება. გვითხრეს, რომ პერსონალიზებული მიდგომით უნდა წავსულიყავით, განხორციელებული დეოლიგარქიზაცია, ეს გავითვალისწინეთ და იქნა მიღებული კანონი. თავიდან პირველი მოსმენით მივიღეთ უკრაინულის ასლი, რომელიც იურიდიულად იყო გაუმართავი. შემდეგ გავაგზავნეთ ვენეციის კომისიაში, ვენეციის კომისიამ გამოაგზავნა ექვსი რეკომენდაცია, რომელშიც ეს აისახა. დასკვნაში ვენეციის კომისიას უწერია, რომ ჩვენ მიერ ყველა საკვანძო რეკომენდაცია გათვალისწინებულია. აქედან გამომდინარე, პირნათელი ვართ. ერთადერთი საკითხი რჩება გასარკვევი, ევროკომისია ინარჩუნებს თუ არ ინარჩუნებს 12 პუნქტში პერსონალიზებულ მიდგომას. თუ შეინარჩუნებს, კანონი ძალაში დარჩება, თუ არ შეინარჩუნებს, კანონი გაუქმდება“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ. როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებულ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით ოპოზიცია სპეკულირებს. საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არიან საქართველოში ოლიგარქები.

* * *

გვინდა, ევროკომისიამ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია, ემხრობა, თუ არ ემხრობა პერსონალიზებულ მიდგომას, როგორც კი იტყვის, რომ არ მოსწონს პერსონალიზებული მიდგომა, 12 პუნქტიდან ამოიღებს ჩანაწერს დეოლიგარქიზაციის შესახებ, ჩვენ თებერვალში გავაუქმებთ ამ კანონს!

ველიაძეების საგვარეულო გერბი

ყოველი აჭარელი ქართველი ერის სულიერი სამკვიდროა!

(პირველი გვერდიდან)

ბატონმა შალვამ განაცხადა:

– ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ ეპოქაში, როცა ჩვენი ქვეყანა არის ისეთ პირობებში და ისეთ გარემომომცველ არეალში, როცა ქართველ ერს ჭირდება ჩვენი ეროვნული იდენტობისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის დაცვა.

მოგეხსენებათ, რომ აჭარა საქართველოს ძირძველი კუთხეა და ისტორიულად აღმოსავლეთ ევროპაში პირველად, დიდაჭარაში დაირწა ქრისტიანობის აკვანი, როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გრძანა: – **„კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოსი!“**

32-ე ფსალმუნში წერია: **„ნეტარ არს ხალხი, რომლისთვისაც უფალია ღმერთი, ხალხი - მისდა სამემკვიდროდ ამორჩეული“.** აჭარელი კაცი ქართველი ერის ყოფიერების სულიერი სამკვიდროა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

...ჩვენ, ველიაძეებმა, გადავწყვიტეთ ჩვენი ეროვნული იდენტობის, ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცნობიერების, მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცებისა და ძირძველ ეროვნულ სარწმუნოებაზე დაბრუნება: 2010 წლის 23 ნოემბერს ველიაძეები შევიკრიბეთ და დავაფუძნეთ ველიაძეების საგვარეულო საზოგადოება. ჩვენი გვარის დალოცვა განხორციელდა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ 2011 წლის 24 ივლისს. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა წირვა-ლოცვა და დაილოცა ჩვენი გვარი: – **„ვლოცავ ველიაძეებსა და მათ შთამომავალთ“** – ბრძანა ილია მეორემ.

მადლობა უწმინდესსა და უნეტარესს ჩვენი გვარის – ველიაძეების დალოცვისთვის. წელს მისი საიუბილეო წელია და გვინდა გულითადად ვუსურვოთ ქართველი ერის სულიერ მოძღვარს დიდხანს სიცოცხლე, მხნეობა, ღმერთმა არ მოაკლოს გულის სიხარული. მისი ლოცვა და მადლი არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს. მისმა ლოცვა-კურთხევამ აღადგინოს და გაამთლიანოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო, ამინ!

ჩემი გვარის შვილებს სამების ტაძარში სიტყვით მივმართე:

– უწმინდესმა და უნეტარესმა უდიდესი ღვაწლი გასწია ქართველი ერისათვის. მისი ლოცვა-კურთხევით უფალმა აღადგინოს ღვთისმშობლის სულიერ სამანებში სრულიად საქართველო... ჩვენი პასუხისმგებლობა ოჯახის, გვარის, და ქვეყნის წინაშე განსაკუთრებულია. ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზეა დამოკიდებული, მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმტკიცების და ეროვნული ფასეულობების დაცვა. ყველას გვინდა ერთიან, ძლიერ, თავისუფალ საქართველოში ცხოვრება. ახალ ეპოქას ქმნიან ახალი ადამიანები. ამ ახალ ქართულ ეროვნულ სივრცეში ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა ავიღოთ. მოზღვავებული ინფორმაციისა და ახალი ტექნოლოგიების დროს ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ძირძველი ქართული ტრადიციები. სწორედ ეროვნული ქართული ფასეულობების დაცვამ გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა ქართული სახელმწიფო.

ველიაძეები დაახლოებით 700-მდე ადამიანია. რაოდენობრივად პატარა გვარია, მაგრამ სანაქებო და წარმატებული გვარიშვილები ვართ.

ჩვენ გვარის ხატად ავირჩიეთ საქართველოს მფარველი წმიდა გიორგი, რომელიც დაიწერა თბილისში 2011 წელს ხატმწერ გიორგი ბერიძის მიერ.

ჩვენი გვარი მოდის მესხეთ-ჯავახეთიდან. დაახლოებით შუა საუკუნეებში ჩვენი წინაპრები მესხეთიდან გადმოსულან ზემო აჭარის სოფელ ლაკლაკეთში.

ჩვენი გვარის წინაპართაგან რამდენიმე ღირსეული პიროვნებაა წარმოჩენილი ბათუმის საარქივო მასალებში, რომელთაგან ცნობილია: ხასან და ნური ველიაძეები, რომლებიც მუშაობდნენ ხულოს ადმინისტრაციულ რეზიდენციაში ხიმშიაშვილების მმართველობის დროს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბათუმისა და ქუთაისის არქივში ველიაძის სამი სახელია მოხსენიებული: ახმედ, მუხამედ და ხაჯი(ა) ველიაძეები. ეს ბოლო პიროვნება აჭარისთვის თავდადებულ მამულიშვილთა სიაშია შეყვანილი. მუხამედ ველიაძე სიტყვით გამოსულა 1924 წელს ბათუმში გამართულ სახალხო (ეროვნულ) ყრილობაზე.

ჩვენს გვარში მუდმივად იყვნენ სასულიერო პირთა დინასტიები. როგორც ჩვენი წინაპრები გადმოგვცემენ, გვარში სასულიერო პიროვნებები მოღვაწეობდნენ ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობამდეც, ამ დინასტიებმა ჩვენს ეპოქამდეც მოაღწია და ღმერთის წყალობით მომავალშიც გაგრძელდება. ბოლო სასულიერო პიროვნება (იმამი) გახლდათ მამაჩემი ზექერია ველიაძე რომელიც 97 წლისა აღესრულა 2021 წელს. ჩვენ გვარში მუდმივად მეორდება მამაკაცის სახელი სულა (სასულიერო პირი). მამაკაცის სახელი სულა ჩვენ გვაფიქრებინებს გვარის წარმომავლობის ღრმა ისტორიულ ფესვებზე. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ ჩვენ ველიაძეები დიდი თავადის (შვილის) შთამომავლობა ვართო. „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII სს) მოხსენიებულია შავშეთში საეპისკოპოსო ტაძრის – ტბეთის შემომწირველებს შორის სულა **„ვვირიკე მოძღვარი და მისი ძმა სულა“**, საეპისკოპოსო ტაძრის ტბეთის სამწყსო ვრცელდებოდა ზემო აჭარის სოფელ დანდალომდე (XVI საუკუნის დასაწყისამდე)... აჭარაში ოსმალების შემოსევის ჟამს აჭარის მოსახლეობამ საშინელი ტრაგედია განიცადა რელიგიური შუღლის ნიადაგზე. ენით აუწერელმა ტანჯვა-წამებამ ფიზიკური განადგურების პირზე მიიყვანა აჭარის მოსახლეობა. ოსმალო ასკერებმა თავსამკვეთლოები მოაწყვეს ფურტიოს, დანდალოს, ცხმორისის, აჭარისწყლის ქვის თაღოვან ხიდებზე. ჩვენმა წინაპარმა გადაწყვიტა ფიზიკურად რომ გადარჩენილიყო, მუსლიმობა ეღიარებინა, მაგრამ შინაგანად დარჩა ქრისტიანად, ვინაიდან დღესაც კარგად ჩანს მუსლიმ მრევლში ცხოვრების გამომსახველობით ეპიზოდებში ქრისტიანული ფილოსოფია. უშუალოდ ჩვენი ბაბუის ანდერძად დანატოვარი: **„ჩვენი შთამომავლობა ბუნებრივად გაქრისტიანდება. ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობას მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე დაბრუნებით აღადგენს, ვინაიდან ჩვენ ამის ნაწილი ვართ და ბუნებით რაც ჩვენს სულში და გულშია მისი ამოშლა შეუძლებელია“.**

ჩვენს მეზობელ სოფელ ტბეთში ცხოვრობდა ფრიად განათლებული იმამი ასლან ფევაძე. მუსლიმი მრევლი მას სთხოვდა, მოდი ჯამეში და გვიწინამძღვრეო: **„როგორ ვილოცო, ქრისტიანული ტაძრის საძირკველზე აგებული ჯამეა და ცოდვა საქმეაო“.** ბაბუაჩემიც მუხამედ ველიაძე თავისი დროის განათლებული პიროვნება გახლდათ. მშობლიური ენის (ქართული ენის) გარდა სამი ენა იცოდა: ლათინური, არაბული და რუსული. ჩვენი ხალხის მეხსიერებას „ჯინი მოლას (იმამის)“ სახელწოდებით შემორჩა, რომელიც 1926 წლის შემოდგომაზე რუსი ოფიცრის ბერდენა თოფიდან გავარდნილმა ტყვიამ მოკლა ბაბუაჩემი დღემდე გაურკვეველ ვითარებაში.

– ბატონო შალვა, თქვენი თვალთახედვით, რა არის მთავარი ღირებულება ამ ქვეყნად?

– მთავარია ადამიანმა დედამიწაზე ღმერთთან აღიდგინოს ღვთაებრივი კავშირი. სხვანაირად ქართველი კაცი, ქართველი ერი თავის ეროვნულ და საკაცობრიო მისიას ვერ აღასრულებს. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია ის, რომ 2000 წლის წინათ უფალმა გამოცხადებით უთხრა დედა ღვთისმშობელს: **„ჰო, დედაო არ უგულებელყო ერი იგი საზეპურო, უფროისა ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის“.** ვინაიდან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამას უნდა გაფრთხილება, დაცვა, აღსრულება, ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა. უწმინდესი და უნეტარესი, ჩვენი დიდი მეუფე ილია II რასაც გვიქადაგებს, როგორც გვმოძღვრავს, ქრისტიანული აღმსარებლობით აღსრულება და დაცვა სჭირდება. ქრისტიანული რწმენითა და მოწოდებით, იმ არქეტიპში დაბრუნება, სადაც ჩვენ ქართველი ერი ვიყავთ. ჩვენ კი დღეს ვერაფერს ვერ ვქმნით ახალს, ჩვენი ერის ფუნდამენტური ფასეულობებისთვის, ჩვენთვის ქართველი ერისთვის არსებობის მისია დიდი ხანია განსაზღვრულია.

ჩვენ დიდი სიწმინდეების მფლობელი, ღვთივკურთხეული და ღვთითდაცული ერი ვართ. ამას მოწმობს სვეტიცხოველში შენახული უფლის კვართი, ილიას ხალემი, ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ცხოვრება, ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მატათას სამოციქულო მოღვაწეობა საქართველოში. მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ ჰყავს იმდენი თავგანწირული მამულიშვილი სარწმუნოებისთვის, რამდენიც საქართველოს. ამას ყველაფერს გააზრება და გაფრთხილება სჭირდება.

ჩვენ უდიდესი ცივილიზაციისა და უძველესი კულტურის ერი ვართ, ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ, ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიები, სადაც მომავალი თაობის აღზრდა დაკავშირებული იყო ეკლესიასთან. ადამიანს ჯერ ასწავლიდნენ კატეხიზმოს (მოძღვრებას მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, რომლითაც იმოძღვრება ყოველი ქრისტიანი ღვთის სათნომყოფელობისა და სულის ცხონებისთვის), მერე ირჩევდა პიროვნება პროფესიას.

– თქვენ თუ შეგიძლიათ თქვენი დალოცვის, გაქრისტიანების – ნათლობის შესახებ გვიამბოთ, ეს ისტორია უფრო საინტერესო და მაგალითის მიმცემი იქნება საზოგადოებისთვის?

– მე დავიბადე მუსლიმების ოჯახში. დედაც და მამაც, მუსლიმები გახლდათ. სკოლაში ჩემი სწავლის პერიოდი, კომუნისტურ ეპოქას დაემთხვა. დედა და მამა ლოცვასა და მარხვას ფარულად აღასრულებდნენ. მამა მეუბნებოდა: სკოლაში არ წამოგცდეს, რომ შენი მშობლები ფარული აღმსარებელიაო. მახსოვს, სოფლის ბიბლიოთეკაში როცა შევიდიოდი, ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში თვალსაჩინოებისთვის ეწერა: „რელიგია ხალხის ოპიუმია“. თუმცაღა ბავშვობაში სულ სხვა განცდა მქონდა. იმ დროისთვის პრესაში თუ სადმე ეკლესიის სურათს ან ხატს დავინახავდი, ამოვიღებდი, ის დღესაც მაქვს შენახული. ბავშვობიდან რწმენა მქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაშინ გადავწყვიტე და მოვინათვლე 1992 წლის ნოემბერში ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარში. იმხანად სამღვდელო პირი გახლდათ ამჟამად ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი. ის გახლდათ ჩემი ნათლია. ჩემმა მონათვლამ იმ დროიდან რაღაც სიახლე შემოიტანა არა მარტო ჩემს ირგვლივ მყოფ საზოგადოებაში, არამედ ჩვენს ხეობაშიც. ვფიქრობდი, ახალგაზრდა თაობა როგორ დაბრუნებოდა ჩვენს ძირძველ სარწმუნოებას. ვცდილობდი, გაღვიძებულიყო ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულისკვეთება... წინასწარ მოვიარე დაახლოებით 70 ოჯახი ნათლობის მისიით. ჩემი ორგანიზებით 2007 წლის 1 ნოემბერს სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სპირიდონისა და ბოლნისის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით სოფელ წაბლანაში ჩატარდა დიდი ნათლობა. **იმუამად 30 ადამიანი მოინათლა წაბლანაში არსებულ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის საძირკველზე...**

თურქებს აჭარაში ყოფნის დროს ნგრევისა და ადამიანთა ხოცვა-ულეტის, წერილობითი წყაროების, სასულიერო წიგნების დაწვისა და განადგურების გარდა არაფერი გაუკეთებიათ. მათ დაანგრიეს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, გადარჩა მხოლოდ სხალთის ტაძარი. ვინც გადაწყვიტა მისი დანგრევა, ორ მოლას, აბსოლუტურად მოულოდნელად, ქვა დაეცა თავში და მოკვდნენ, მესამე ჭკუაზე შეიშალა. გადარჩა სხალთის ტაძარი, როგორც დიდი სულიერების საგანძური აჭარელი კაცისა და როგორც დიდი აჭარა „სულიერ სამშობლოდ“ წოდებულ მთელს საქართველოში... ჩვენთან მთა ღომაზე ჯვარ-მინდორზე (მინდორს ჯვარი ჰქვია უხსოვარი დროიდან) მეუფეების: სპირიდონისა და ეფრემის ლოცვა-კურთხევით 2008 წლიდან იმართება რელიგიური დღესასწაული „ჯვარობა“ და ყოველწლიურად ინათლება 10-12 ადამიანი.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი.

საფრთხე, რომელიც აფხაზეთში ბზებსა და პალმებს განადგურებით ემუქრება

აფხაზეთში, გზიფის ხეობაში გადარჩენილ კოლხურ გზას კვლავ განადგურება ემუქრება, თუმცა ამჯერად ეკოლოგებმა და შესაბამისმა სამსახურებმა დროულად დააგეს ფერომონის ხაფანგები და ქიმიური დამუშავებაც მოახერხეს.

გზის ალურას (Cydalima perspectalis) სახელით ცნობილმა მავნებელმა, რომელიც აფხაზეთში 2012 წელს სოჭის ოლიმპიადის შემდეგ მოხვდა, დე ფაქტო რესპუბლიკაში გზის უნიკალური ტყეების 95%-ზე მეტი გაანადგურა. კიდევ ერთი მავნებელი „პალმის წითელი ცხვირგრძელა“ (Rhynchophorus ferrugineus), რომელმაც, სავარაუდოდ, ასევე რუსეთიდან შეაღწია აფხაზეთში, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ზღვისპირა ქალაქების სავიზიტო ბარათად ქცეულ უზარმაზარ პალმის ხეებს.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის ენტომოლოგიისა და ინვაზიური სახეობების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა მიხეილ ქირიამ სოციალურ ქსელებში დაწერა, რომ გასულ კვირას გზიფის ხეობაში კოლხურ გზას კვლავ შეესივნენ მავნებლები გზის ალურის სახით.

ვისუფლების რუსულენოვანი პროგრამის „ეხო კავკაზას“ სოხუმელ კორესპონდენტს უთხრა, გზის ალურა საშიში მავნებელია, რომელმაც აფხაზეთში გზის ტყეების უმეტესი ნაწილი – 95% გაანადგურა.

მავნებლის აფხაზეთის ტყეებში გამოჩენა კი დაკავშირებულია სოჭის 2012 წლის ოლიმპიადასთან, რომლის სამზადისში აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებისთვის შეიტანეს მავნებლებით დაბინძურებული სარგავი მასალა.

ფერომონის ხაფანგები შესაძლებელს ხდის ქიმიური დამუშავებისთვის საჭირო ოპტიმალური პერიოდის განსაზღვრას. როგორც მონიტორინგმა აჩვენა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველაზე ხშირად აფხაზეთში გზის ალურა მრავლდებოდა ივლისის პირველ დეკადაში, თუმცა წელს პრობლემამ თითქმის ერთი თვით

„წელიწადის ამ დროისთვის ცოტა მოულოდნელი იყო. პეპლებისა და ჭუპრების გრძელვადიანი მონიტორინგის მიხედვით, პროცესი ყოველთვის ივლისის დადგომასთან იყო დაკავშირებული.

საბედნიეროდ, შესაბამისი სამსახურები მზად აღმოჩნდნენ: აღჭურვილობაც და საჭირო ინსექტიციდებიც საკმარისი იყო და ვითარებამ არ მიიღო შეუქცევადი ხასიათი“, – დაწერა აფხაზმა მეცნიერმა.

გზიფის ხეობა გუნებრივი სახით შემონახული კოლხური გზის ტყის ერთადერთი დიდი ფართობია აფხაზეთში. მიხეილ ქირიამ ასევე გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც ასახულია ფერომონის ხაფანგების დაყენების პროცესი.

ფერომონის ხაფანგი – ეს არის ხაფანგი წებოვანი ფირფიტით, რომელსაც ჩაშენებული აქვს შემდეგი ელექტრონული მოწყობილობები: ფოტომონიტორინგის სისტემა, მოდემი და მზის პანელი ელექტროენერგიის უწყვეტობისათვის.

ხაფანგის ტექნიკური კონსტრუქციისა და პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობით, შესაძლებელია სხვადასხვა აგროკულტურასა თუ სამრეწველო წარმოებაში არსებული მწერების დისტანციურ რეჟიმში მონიტორინგი. ხაფანგის მეშვეობით შესაძლებელია მწერებზე დაკვირვება მათი გამოჩენის პირველივე ეტაპიდან, რაც მწერების მასიური და დროული განადგურების საშუალებას იძლევა.

როგორც მიხეილ ქირიამ რადიო თა-

ილებლად მოხდება აფეთქება, რაც გაანადგურებს გადარჩენილ გზას.

საშუალოდ წლის განმავლობაში გზის ალურა იძლევა ორ თაობას, ზაფხულის თავსა და ბოლოში. შესაბამისად, ყველაფერი დამოკიდებულია რეაგირების სიჩქარეზე.

აფხაზეთში კოლხური გზა, გუნებრივი სახით, უმეტესწილად შემორჩენილია მხოლოდ გზიფის ხეობაში, თუმცა მცირე ფართობები ასევეა ბიჭვინთის დაბლობზეც. როგორც აფხაზი ეკოლოგები ამბობენ, სხვადასხვა ადგილას, სადაც ადრე გზის ტყეები იყო, კვლავ გამოჩნდა ახალი ამონაყარი.

„ეს იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს იმედი, რომ ზოგიერთ უბანზე ტყე შეძლებს აღდგენას. ტერიტორიები, რომლებიც ადრე გზის ხეებით იყო დაფარული, დაცული უნდა იყოს ეკონომიკური აქტივობისგან, ანთროპოგენური წნეხისგან. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ხუთ-ათ წელიწადში, გზის ტყემ აღდგენა დაიწყოს“, – ამბობს მიხეილ ქირია.

კოლხურის გზის გარდა გადასარჩენია პალმებიც, რომლებიც აფხაზეთის ქალაქების იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბოლო ათი წლის განმავლობაში ასზე მეტი დიდი პალმის ხე განადგურდა, რაც უზარმაზარი რიცხვია აფხაზეთისთვის.

50-70 წლის პალმებს ერთ სეზონზე ანადგურებს პალმის ცხვირგრძელა, რომელიც ფსოუსა და სოხუმს შორის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ასევე რუსეთიდან მოხვდა 2016 წელს.

„ყველაფერი დამოკიდებულია ქალაქების ადგილობრივი ადმინისტრაციების ძალისხმევაზე.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს ქალაქ სოხუმის ადმინისტრაციასთან მუშაობაში.

ადმინისტრაცია წელიწადში რამდენჯერმე ატარებს ყველა პალმის ქიმიურ დამუშავებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში არცერთი ხე არ მომკვდარა პალმის გრძელცხვირასგან. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენ მივეცით ქიმიურ მკურნალობაზე, სრულად ხორციელდება. სხვა ქალაქებში არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა, ხეების ხმობა გრძელდება, მაგალითად, გაგრაში, ახალ ათონში“, – ამბობს მიხეილ ქირია.

პალმის ცხვირგრძელასთან გასამკლავებლად ასევე კეთდება ფერომონის ხაფანგები. გაგრაში დამონტაჟდა 50 ხაფანგი, სოხუმში – 10-ზე მეტი. რიგშია ახალი ათონი, ბიჭვინთა, რათა განისაზღვროს მავნებლის შეღწევის ხარისხი კონკრეტულ ტერიტორიებზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში, სოხუმში ცხვირგრძელების რაოდენობა უკიდურესად შემცირდა.

პალმის წითელი ცხვირგრძელა აფხაზეთში 2016 წელს კრასნოდარიდან შემოჰყვა საკარანტინო წესების დარღვევით შემოტანილ დასარგავ პალმებს.

მავნებლის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, პრევენციის საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევა დიდი ზომის ნერგების იმპორტის დროებითი აკრძალვა.

„ეს ეხება არა მხოლოდ პალმის ხეებს, არამედ ეხება ნებისმიერ მცენარეს, რომელიც ღეროვან მავნებლებთან არის დაკავშირებული“, – ამბობს მიხეილ ქირია, რომლის თქმითაც, **არცერთი ქალაქი არ დარჩება თავისი საფირმო პალმების გარეშე, თუკი ად-**

მინისტრაციები ზედმიწევნით დაიცავენ ეკოლოგების მიერ (ხაფანგების დაყენებასა და სარგავი მასალის მონიტორინგთან დაკავშირებით) შემუშავებულ რეკომენდაციებს.

„წარმატება 100%-იანი იქნება. ამის მაგალითია სოხუმში არსებული პალმის ხეების მდგომარეობა. თუ 2018 წელს, როდესაც ქალაქში ეს პრობლემა კატასტროფულად იდგა და თითქმის ყოველდღე იჭრებოდა დიდი ხეები, დღეს თითქმის ყველა პალმა ნორმალურ მდგომარეობაშია: არ აქვთ ჩამოვარდნილი კენწეროები და არ ჭრიან მათ. ეს ყველაფერი მხოლოდ ბოლო ოთხი-ხუთი წლის მუშაობის შედეგია“, – ამბობს მიხეილ ქირია.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ჟურნალისტი, ბლოგერი,
პროზაული, პოეტური და
დოკუმენტური კრებულების ავტორი.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი ექიმების გარეშე რჩება!

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება.

2022-2025 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის შესახებ რუსეთთან გაფორმებული შეთანხმებით, დე ფაქტო ხელისუფლება ვალდებულია, დაახლოებით ერთნახევარჯერ შეამციროს სამიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა.

ჯანდაცვის სისტემის მუშაკები შემცირებაზე განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ. დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრ აგუნდა პლიევასა და მედპერსონალს შორის უკვე ღია კონფლიქტია. ამას ისიც ემატება, რომ განათლებული სამედიცინო კადრები დე ფაქტო რესპუბლიკას ტოვებენ.

ტელეგრამარხ „ბონვარონზე“ ასეთი პოსტი გამოქვეყნდა:

„სამხრეთ ოსეთის ჯანდაცვის მინისტრსა და ექიმებს შორის კონფლიქტი სულ უფრო მწვავდება. ექიმები რესპუბლიკას მასობრივად ტოვებენ. მხოლოდ ამ თვეში ორი ქირურგი დატოვებს სამხრეთ ოსეთს და სამუშაოდ რუსეთის ერთ-ერთ, ახალ რეგიონში წავა. და ეს ყველაფერი სამხრეთ ოსეთში სპეციალისტების მწვავე დეფიციტის და მედიცინის დაბალი დონის პირობებში ხდება. პეტერბურგში აპირებს წასვლას კიდევ ერთი შრომისუნარიანი ქირურგი. ზოგადად, თითქმის ყველა შრომისუნარიანი, ახალგაზრდა ექიმი ტოვებს რესპუბლიკას“, – წერია ტელეგრამარხზე გამოქვეყნებულ ცნობაში.

სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაცია, პროგრამა „ეხო კავკაზას“ დაუდასტურა დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ვიცესპიკერმა და, ამავე დროს, ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელმა ალექსანდრ პლიევმა. მისი თქმით, სამხედრო ქირურგები მართლაც გადადიან ე.წ. დონბასის რესპუბლიკების ჰოსპიტლებში, სადაც ექიმებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება.

იხ. 9 გვ.

ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲮᲕᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ... ᲓᲐᲓᲘᲡ!

ᲕᲔᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ „ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲛᲐ“ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ

The Economist | Menu | Weekly edition | The world in brief | Search

Obituary | Her special child

Vera Putina claimed to be Vladimir Putin's real mother

The resident of dirt-poor Mekheti, in Georgia, died on May 31st, aged 97

ᲕᲔᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲐ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ვლადიმერ პუტინის ნამდვილი დედა იყო, საქართველოში 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „ეკონომისტი“. გამოცემა წერს, რომ მას შემდეგ, რაც ვერა პუტინამ პრეტენზია გამოთქვა, კა-გე-ბე მივიდა მის სახლში, წაართვა ფოტოების ორიგინალები და უთხრა, რომ არ ელაპარაკა.

„ეკონომისტის“ თანახმად, ვერა პუტინა რუსი იყო და არა ქართველი, მაგრამ გულიანი სიცილითა და საქმის კეთების უნარით პოპულარული იყო და ყველამ იცოდა, რომ ვერა „რუსეთის მეფის“ დედა იყო. გამოცემის თანახმად, ვერა პუტინა 73 წლის იყო, როდესაც ვლადიმერ პუტინი ტელევიზიით ნახა ახალი ამბების ეთერში. მანამდე ის ჩუმად გახლდათ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ვლადიმერ პუტინი, „ვოვა“, როგორც მან უწოდა, მისი დაკარგული, განსაკუთრებული შვილი იყო.

„ეკონომისტი“ წერს, რომ ვლადიმერ პუტინი ვერა პუტინას და პლატონ პრივალოვთან კოლეჯის რომანის შემდეგ გაჩნდა და როდესაც ტაშკენტში ქართველი ჯარისკაცი, გიორგი ოსეფაშვილი გაიცნო და ცოლად გაჰყვა, ვოვა შეთანხმების ნაწილი იყო.

„ქორწინება გაგრძელდა, მაგრამ კარგად არ წავიდა. ისინი სულ კამათობდნენ. გიორგიმ თქვა, რომ ფული ჰქონდა, მაგრამ მისი მშობლების სახლი მეტეხში, სადაც წაიყვანა, ნახევრად დანგრეული ქოხი იყო. მან მისგან გლეხი შექმნა. შემდეგ კი ვოვამ მათ გრძოლა დაუწყო. უყვარდა თევზაობა და კითხვა, განსაკუთრებით რუსული იგავ-არაკები და აკეთებდა ლამაზ კალიგრაფიას. მართალია, ის შეიძლება, გაბრაზებულიყო, როცა ჭიდაობდა, წაგებაზე უარს ამბობდა, მაგრამ ძირითადად მშვიდი ბიჭი იყო. გიორგი მას არასდროს სცემდა, მაგრამ განზრახ იგნორირებას ახდენდა და ხმამაღლა საუბრობდა მის გაძევებაზე. ბოლოს, როდესაც ვოვა ცხრა წლის იყო, ვერამ ის მშობლებთან გაგზავნა, მაგრამ ისინი ძალიან ავად იყვნენ, რომ მისთვის მოევლოთ და გაგზავნეს იგი სამხედრო პანსიონში. ამის შემდეგ მან დაკარგა კონტაქტი, ვიდრე არ გაიგო, რომ ის კა-გე-ბე-ში იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ არის წარმოშობის ამბავი, რომელიც ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. პრეზიდენტის მშობლები მის ავტობიოგრაფიაში იყო მოცემული, როგორც ვლადიმერ პუტინი უფროსი და მარია პუტინა, რომელიც ცხოვრობდნენ ლენინგრადში, მაგრამ ვლადიმერი და მარია მხოლოდ „აღმზრდელები“ იყვნენ“, – წერს „ეკონომისტი“.

გამოცემის თანახმად, ვერა პუტინას ისტორია რუსეთში არ გავრცელებულა და ისე ჟღერდა, თითქოს ქართველები ცრუობენ, მაგრამ ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ვლადიმერ პუტინი ათ წლამდე ბავშვობის ისტორიებზე არ საუბრობს.

„ეკონომისტი“ წერს, რომ 2008 წელს „დეილი ტელეგრაფმა“ აღმოაჩინა, რომ ვლადიმერ პუტინი მართლაც სწავლობდა მეტეხის სკოლაში სამი წლის განმავლობაში.

„სხვა მოვლენებმაც გააჩინა ეჭვი. 2000 წელს ორი ჟურნალისტი, რომლებიც ვერას ამბავს იძიებდნენ, ჩეჩენი და იტალიელი, ცალ-ცალკე „ავარიაში“ დაიღუპნენ. ვერას სახლში ერთ დროს უცნობი პირები, ორი მამაკაცი და ორი ქალი, მივიდნენ და სისხლი აიღეს დნმ-ის ტესტისთვის. დედას არასოდეს გაუგია დნმ-ის შედეგი. მას ეს სიცოცხლის ბოლომდე არ დავიწყებია.

იყო შემთხვევები, განსაკუთრებით მაშინ, როცა პუტინი საქართველოში შეიჭრა 2008 წელს, როდესაც სირცხვილი იგრძნო, მაგრამ ზოგადად, დედას უფრო რცხვენოდა საკუთარი თავის. მას სურდა, რომ შვილი მეტეხში მხოლოდ ერთხელ ჩასულიყო, სურდა მისთვის ბოდიში მოეხადა გაშვებისთვის და აეხსნა, რომ ეს მისი ბრალი არ იყო. რომელი დედა ვერ ცნობს საკუთარ შვილს? თანაც ისე დადიოდა, როგორც ყოველთვის: იხვივით“, – აღნიშნულია „ეკონომისტის“ სტატიაში.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗᲐ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ არ შეუძლია, შეცვალოს ყველა ტანკი, რომელიც უკრაინაში მწყობრიდან გამოდის, – ამის შესახებ განცხადება გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ბორის პისტორიუსმა ადგილობრივ მედიასთან საუბრისას გააკეთა.

„ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა იმ ტანკის გამოცვლას, რომელიც ახლა მწყობრიდან გამოდის, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის უფრო მეტი გარემონტებული ტანკის მიწოდება ივლისიდან და შემდგომაც. წლის ბოლომდე მათი რიცხვი იქნება ასზე მეტი“, – განაცხადა პისტორიუსმა.

გერმანიის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის თქმით, ომის ბუნება ისეთია, რომ იარაღი ნადგურდება და ადამიანები კვდებიან. მისივე განცხადებით, სწორედ ამიტომ, უკრაინის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

მან ასევე თქვა, რომ უკრაინისთვის გერმანული ავიაგამანადგურებლების მიწოდების საკითხი ამ ეტაპზე არ დგას და უკრაინას პირველ რიგში სჭირდება „F-16“-ის ტიპის გამანადგურებლები. მანამდე, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი მელნიკმა თქვა, რომ უკრაინის კონტრშეტევის ფონზე დანაკარგები არსებობს და უკრაინას სჭირდება გერმანული წარმოების მეტი ტანკი.



ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘᲪ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘᲪ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებით, ვილნიუსში ნატოს სამიტზე მოსალოდნელია, რომ უკრაინას შესთავაზონ პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის ძლიერი პაკეტი. ამის შესახებ ენტონი ბლინკენმა ვაშინგტონში, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს იქნება ძლიერი გზავნილი პუტინის მიმართ, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა უკრაინისადმი გაგრძელდება.

„ვფიქრობ, შეიძლება, ელოდოთ ნატოს სამიტზე უკრაინის მომავალი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის ძლიერი პაკეტის ხილვას. ვფიქრობ, ეს პრეზიდენტ პუტინს გაუგზავნის ძლიერ გზავნილს, რომ ის უგრალოდ ვერ დაგველოდება, რადგან ჩვენ, ყველა, აქ ვრჩებით. ჩვენ მტკიცედ ვართ. უკრაინელ ხალხს, ყველა ჩვენგანს სურს მშვიდობა, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ის უნდა იყოს სამართლიანი და გრძელვადიანი“, – განაცხადა ენტონი ბლინკენმა. ვილნიუსში ნატოს სამიტი 11-12 ივლისს გაიმართება.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ საჰაერო ძალებმა ნატოს ისტორიაში ყველაზე დიდი განლაგების წვრთნები დაიწყეს, რომელსაც გერმანია მასპინძლობს. ორკვირიან წვრთნებში მონაწილეობას 25 ქვეყანა იღებს, დაახლოებით 10 000 პერსონალითა და 250 თვითმფრინავით. ფრენები განხორციელდება ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე.

ნატო-ს სპიკერის თქმით, ნატო მზადაა, დაიცვას მოკავშირეთა ტერიტორიის ყოველი სანტიმეტრი და დასძინა, რომ საჰაერო თავდაცვა ახლა განსაკუთრებით აუცილებელია, რადგან სამყარო უფრო და უფრო საშიში ხდება. აღნიშნული სწავლებები უკვე რამდენიმე წელია, იგეგმება. წვრთნები მიზნად ისახავს მზადყოფნის გაძლიერებას, რათა დაიცვას ქალაქები და კრიტიკული ინფრასტრუქტურა თვითმფრინავებით, უპილოტო საფრენი აპარატებითა და რაკეტებით თავდასხმისგან.

ᲕᲐᲠᲓᲘ ᲣᲔᲙᲚᲝᲓ...

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ბოლო დღეების განმავლობაში აშშ-ის მიერ გადაცემული Bradley-ს 16 ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ტერიტორიების დაბრუნებას განაგრძობს.

ტელეკომპანია CNN-ის ცნობით, Bradley-ის 16 განადგურებული, დაზიანებული და მიტოვებული ქვეითთა საბრძოლო მანქანა თითქმის 15%-ს შეადგენს იმ ტექნიკის 109 ერთეულიდან, რომელიც ვაშინგტონმა კიევს გადასცა.

Bradley თითქმის 40 წელია ამერიკული არმიის ქვეითთა მთავარ საბრძოლო მანქანას წარმოადგენს. იანვრის ბოლოს, როდესაც აშშ-დან უკრაინაში Bradley-ის ქვეითთა საბრძოლო მანქანების პირველი პარტია გაიგზავნა, აშშ-ის არმიის ვიცე-პოლკოვნიკმა, რებეკა დ'ანჯელომ განაცხადა, რომ ჯავშანტექნიკა კიევის კონტრშეტევის დროს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ᲬᲘᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ კიევთან დიალოგის დამყარების სუსტ საფუძველსაც კი ვერ ხედავს, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა:

„ფაქტობრივად, ახლა არ არსებობს შეთანხმებების წინაპირობები. უფრო მეტიც, ახლა არ არსებობს საფუძველი, თუნდაც სუსტი, რათა ვაწარმოოთ რაიმე სახის დიალოგი“, – აღნიშნავს პესკოვი. პესკოვმა რამდენიმე ფაქტორი დაასახელა, რის გამოც, მისი თქმით, უკრაინა უარს ამბობს სიტუაციის მშვიდობიან მოგვარებაზე. **„ჩვენ ვხედავთ: ა) რეჟიმის უნებლიობას, ბ) მოუმზადებლობას, გ) რეჟიმის დაუშვებლობას მესაკუთრეთა მხრიდან. ამის თქმა, ალბათ, ყოველგვარი დიპლომატიური ორაზროვნების გარეშე შეიძლება, ამიტომ მოლაპარაკების წინაპირობები ახლა არ არსებობს“,** – დასძინა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა.

დედოფლისწყაროელთა ნიჭის ზეიმი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მიმლიოთეკაში დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა ახალგაზრდა მხატვრის ნინო ჯაბაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, (სპონსორი ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობა გახლდათ).

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო მხატვრის 50 გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი პოპ-არტის სტილში. გამოფენას ფონად გასდევდა მშვენიერი მუსიკა და საოპერო არიები. აღსანიშნავია, რომ საფორტეპიანო ნომრებს ასრულებდა ნინოს დედა, ნიჭიერი მუსიკოსი და პედაგოგი თამარ ნადირაშვილი.

ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატმა ვიქტორია ჩაპლინსკაიამ აღნიშნა, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ ახალგაზრდა ხელოვნებს, საამაყოა როცა ასეთი ნიჭიერი თაობა მოდის...

გამოფენას სტუმრობდა არაერთი ცნობილი ადამიანი. გოგი ალექსი-მესხიშვილი, მაყვალა გონაშვილი, მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა, თამაზ კობაიძე, მანუჩარ მაჩაიძე და სხვები.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ ნინოს გამორჩეულად ნიჭიერი და დიდი პოტენციალის მქონე მხატვარი უწოდა.

რევაზ ადამიამ, პარიზის საერთაშორისო ხელოვნების მუდმივმა წევრმა აღნიშნა, რომ უდიდეს პატივს სცემს ახალგაზრდა ნიჭიერ ხელოვანებს, ნინო ჯაბაშვილი პროფესიონალი მხატვარია, ამის ნათელი მაგალითა ილუსტრაციები და გრაფიკული ნამუშევრებია.

დავით სონღულაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კახეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატი ესწრებოდა ღონისძიებას, რომელმაც განსაკუთრებული სითბოთი ისაუბრა მისი რაიონის წარმატებულ ადამიანებზე: ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა დედოფლისწყაროელი დედა-შვილის, თამილა ნადირაშვილის და ნინო ჯაბაშვილის, ამ ორი ხელოვანის შემოქმედებით საღამოზე დასწრება, ნინოს ნახატებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გოჩა გოგილაშვილი, პსპ-დირექტორიც ესწრებოდა ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას, მანაც აღნიშნა, რომ დედა-შვილის ეს სინთეზი მუსიკისა და ფერწერის ერთმანეთში შერწყმა განსაკუთრებულად ალამაზებდა საღამოს.

ლაშა კუხალაშვილი, ახალგაზრდა მხატვარი.გულდასმით დავათვალიერე გამოფენა და მინდა აღვნიშნო, რომ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, მადლობა ნინოს რომ ამ ისტორიულ დარბაზში ფერთა მეჯლისი მოაწყო.

მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა, დედა-შვილის ბენეფისმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, ნინოს გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები თავის სიტყვას იტყვის ქართული მხატვრობის ისტორიაში.

მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია მუდამ გამორჩეული საღამოებით გვანებივრებს, რომლის სულის ჩამდგმელი გახლავთ ნანა ჭიჭინაძე. დღევანდელი დღე იყო მუსიკისა და მხატვრობის დიდი ზეიმი!

მაყვალა გონაშვილმა ნაყოფიერი საზოგადოებრივი და ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის ნანა ჭიჭინაძეს გადასცა „თამარიონის ენდალმა“.

საღამოს ორგანიზატორისთვის ეს მოულოდნელი ჯილდო აღმოჩნდა, მან მადლობა გადაუხადა იქ მობრძანებულ საზოგადოებას დაფასებისა და თანადგომისთვის.

მარიკა პოპიაშვილი



ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი ექიმების გარეშე რჩება!

(მეშვიდე გვერდიდან)

ამას ემატება რუსეთის ფედერაციის რეგიონებში ექიმებისა და მედპერსონალისთვის შედარებით მაღალი ანაზღაურება. რაც შეეხება სხვა მიმართულების ექიმებს, პლიევის თქმით, ისინი ხშირად უსაქმოდ სხედან, რადგან დე ფაქტო რესპუბლიკის ბიუჯეტში არ არის ფინანსები სამედიცინო აპარატურის შესაკეთებლად და სხვა საჭირო მასალების შესაძენად. ადგილზე არსებული აპარატურა კი ან დაზიანებული, ან საერთოდ გაფუჭებულია. პლიევის თქმით, ტრავმატოლოგები ვერაფერს აკეთებენ იმის გამო, რომ არა აქვთ შესაბამისი საშუალებები და ხშირად რენტგენის აპარატი არ მუშაობს.

> **„იმავე მდგომარეობაში არიან თვალის ექიმები და ქირურგები. აპარატურის შესაკეთებლად ბიუჯეტში 1 კაპიკიც არ ჩაუდიათ. ვცდილობდი დეპუტატები დამერწმუნებინა, რომ თუ სამედიცინო დანადგარების რემონტისთვის თანხას არ გაითვალისწინებდნენ, ბიუჯეტის მიღება საერთოდ დაგვებლოკა, მაგრამ არ მომისმინეს. მათ პრეზიდენტთან კონფლიქტი არ სურდათ, მაგრამ რა შუაშია პრეზიდენტთან კონფლიქტი, როცა ჯანდაცვა უნდა დაზარალებულიყო და დაზარალდა კიდეც“.**

უფრო მძიმე ვითარებაა ოკუპირებული ახალგორის რაიონის საავადმყოფოში, სადაც პაციენტებს ფაქტობრივად არც იღებენ და ისეც ხდება, რომ იქაური მედპერსონალი ე.წ. ჯანდაცვის სამინისტროს აშანტაჟებს. ამის შესახებ „ეხო კავკაზას“ ადგილობრივმა სამოქალაქო აქტივისტმა თამარ მეარაყიშვილმა უთხრა.

მისი თქმით, გასულ კვირას ადგილობრივი კლინიკიდან რამდენიმე თანამშრომელი გაათავისუფლეს, მაგრამ რამდენიმე დღეში ისინი სამსახურში გამოცხადდნენ და იქიდან წასვლას არ აპირებენ. გარდა ამისა, მეარაყიშვილის თქმით, რუსეთის ფედერაციის აუდიტის სამსახურმა უამრავი ე.წ. მკვდარი სული და რამდენიმე თანამდებობაზე მომუშავე ერთი პირი აღმოაჩინა. ე.წ. თანამდებობრივი შემთავსებლების პრობლემა დე ფაქტო ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა. მოსკოვი კი ამას მოითხოვს გაგლოევისგან და წელს ბიუჯეტის დაფინანსებაც კი შეუმცირეს.

ოკუპირებული ჯანდაცვის სისტემის სრული კრახი, ასეთ შეფასებას აკეთებს კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანიშვილი და ამბობს, რომ ეს კრახი, დე ფაქტო პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე გამოსვლისას, დე ფაქტო პრეზიდენტმა ალან გაგლოევმაც აღიარა. ბენდიანიშვილის თქმით, გაგლოევი კორუფციას ვერაფერს უხერხებს და ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება.

> **„მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოში დადის სამკურნალოდ და გაგლოევი აღიარებს, რომ მიუხედავად დიდი კაპიტალდაბანდებისა, ვერ მოხერხდა ჯანდაცვის სისტემის მოწესრიგება. აქ კორუფციასთან ერთად კადრების დეფიციტია მთავარი მიზეზი. ასევე გაგლოევის აღიარებით ჩვენებას ჰგავს ახალგაზდების მიგრაციის მასშტაბები.**
>
> **საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალგაზრდების გადინება ძირითადად რუსეთში ხდებოდა, მაგრამ ვერც იქ ხედავენ პერსპექტივას და საგულისხმოა უკვე, რომ ჩემი ინფორმაციით, 300-ზე მეტი ახალგაზრდა ამერიკაში გაემგზავრა მექსიკის გავლით. არის შემთხვევები, რომ ევროპაშიც მიდიან და იქ რჩებიან“,** –ამბობს ზურაბ ბენდიანიშვილი.

ოკუპირებული ცხინვალიდან საქართველოს სხვადასხვა კლინიკებში გადასული პაციენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ოფიციალური სტატისტიკით, 2021 წელს საქართველოს ჯანდაცვის სერვისით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 221-მა მოქალაქემ ისარგებლა, ხოლო 2022 წელს რეფერალურ პროგრამაში უკვე 335 ადამიანი ჩაერთო. რაც შეეხება რუსეთთან გაფორმებულ შეთანხმებას და ვალდებულებებს:

2022 წლის 4 აგვისტოს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის 2022-2025 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რუსეთთან ხელმოწერილი შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამდებობის პირებისა და საჯარო სექტორის ხარჯების ოპტიმიზაციას. ეს განსაკუთრებით იმოქმედებს სამედიცინო სექტორზე.

ექიმთა რაოდენობა 2022 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის დასრულებამდე 438-დან 305-მდე უნდა შემცირდეს, ამავე პერიოდში საშუალო დონის სამედიცინო პერსონალი 822-დან 524-მდე, ხოლო უმცროსი პერსონალი 425-დან 382-მდე შემცირდება.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების კორესპონდენტი.

ცხრა მაღაროელმა შიმშილობა დაიწყო

ჭიათურაში მაღაროელების პროტესტი გრძელდება. ისინი მუნიციპალიტეტის მერიის შენობის წინ აქციას უკვე მე-8 დღეა მართავენ. პროტესტის ნიშნად, წუხელ ცხრა მაღაროელმა შიმშილობა დაიწყო.

ისინი ხელფასის გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ჰიგიენის პირობებისა და კვების საკითხების გაუმჯობესებას ითხოვენ. მაღაროელები „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ შეთავაზებულ ახალ სამუშაო სამცვლიან გრაფიკს აპროტესტებენ, რამაც მათივე განმარტებით, ანაზღაურების შემცირება და სამუშაო დღეების მატება გამოიწვია. მოლაპარაკებათა პროცესში შრომის ინსპექცია ჩაერთო.

13 ივნისის სტიქიიდან 8 წელი გავიდა!..

2015 წლის 13 ივნისს, თბილისში, მდინარე ვერეს ადიდებას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ორი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ასობით კი დაზარალდა.

სტიქიამ გაანადგურა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. დაზარალდა ქალაქის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, კოჯორი – სამადლოს დამაკავშირებელი გზა, ახალდაბა – წყნეთის გზის მონაკვეთი.

მთლიანად დაიტბორა „მზიურისა“ და ზოოპარკის ტერიტორია. ცხოველების დიდი ნაწილი წყალდიდობას ემსხვერპლა, მცირე ნაწილმა კი ვოლიერებს თავი დააღწია და ქალაქში გაიქცა. ამგვარად, თბილისის ქუჩებში 5 ლომი, 6 ვეფხვი, 6 დათვი, 13 მგელი და ბეჰემოთი აღმოჩნდა. მდინარე ვერე 1960 და 1963 წელს, ასევე 1972 და 1995 წლებშიც ადიდდა.

◎ ბრძენთა თამაში

მრისხანე ანასტასია კირთაძე

დიდოსტატ გიგა ყუფარაძის 14 წლის ქუთაისელი შეგირდი ანასტასია პირთაძე წლეულს თანატოლთა შორის ყველას მუსრს ავლებს და ტიტულს ტიტულზე იხვეჭს.

ჯერ იყო და მან დაუმარცხებლად მოიგო ბერძნულ კუნძულ როდოსზე გამართული 15-წლამდელ გოგონათა მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატი, შემდეგ ალბანურ დურესში აჯობა ყველას კონტინენტის პირველობაზე და, აი, სეზონის მესამე ტრიუმფიც – ამჯერად ბათუმში, 14-წლამდელთა მუნდიალზე (სწრაფი ჭადრაკი, იგივე რაპიდი) ისევ წაუგებლად დამსახურებული ოქრო, თანაც – ვადამდე.

ზღვისპირეთში ღირსეულად ითამაშა დიანა ლომაიამაც, რომელმაც 18-წლამდელთა ტურნირში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

◎ სრული სვლით!

უეფამაც აღიარა



შეიძლება, ზოგს თავი მოაგეზრა კიდეც, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა პირადი სიმპათიაანტიპათია გვერდზე უნდა გადავდოთ და თანამემამულის საერთაშორისო აღიარებით გულით გავიხაროთ.

დიახ, ისევ **ხვიჩა კვარაცხელიაზე** ვსაუბრობთ, რომელიც ფეერიული სადებიუტო იტალიური სეზონის ფინიშზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა და ამჯერად ჩემპიონთა ლიგის 2022–2023 წლების გათამაშების საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნიეს.

მართალია, ნაპოლის 22 წლის ლიდერმა ტურნირი მხოლოდ 2 გოლით დაასრულა, მაგრამ სამაგიეროდ 5 შედეგიანი გადაცემით ისახელა თავი, რასაც 1 გამომუშავებული პენალტიც დაუმატა.

ვულოცავთ!

ამ დღეებში კვარა სამშობლოშია და შესარჩევი სანაკრებო ბრძოლებისთვის ემზადება.

◎ სამოგავლოდ

ვფიქრობთ, სასიკეთოა



„არგენტინის სახლი საქართველოში“ ნიკო პატარქალიშვილის თავმჯდომარეობით განაგრძობს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო მჭიდროდ დასაკავშირებელ ძალისხმევას. მართალია, გულისტკივილიც შეხვედრია – მარტო დიეგო მარადონას ჩამოყვანის პროცესში მიღებული დაუმსახურებელი საყვედურები რად ღირს – მაგრამ მიზანი უცვლელია: ორმხრივი სასარგებლო ინტენსიური თანამშრომლობა, მის გასაღრმავებლად ღირსეული საკუთარი წვლილის შესატანად კი საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავს და საკითხის დადებითად გადაჭრის იმედსაც გამოთქვამს.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ საუბარია დაახლოებით 4500 ევროთი თანადგომაზე, დანარჩენს კი წერილიდან გაეცნობით.

გთხოვთ, მხარდაჭერას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ მოწონებული, ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროდ მიჩნეული და დალოცვილი, აგრეთვე, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის მიერ მხარდაჭერააღთქმული, ჩვენს მიერ მომზადებული სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაში, რისთვისაც წინასწარი აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოში მოსაწვევია არგენტინის ორი საქმიანი წრისა და ბრაზილიის მსოფლიო მნიშვნელობის ტელევიზიის 2 წარმომადგენელი, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს ეწვიონ 26 ივნისიდან 8 ივლისამდე.

არგენტინის მხრივ საქართველოში მოემგზავრებიან არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის ბ-ნ მაურისიო მაკრის (რომელიც კვლავ კენჭს იყრის ა.წ. ოქტომბერში) ნდობით აღჭურვილი პიროვნებები.

პროექტი მიზნად ისახავს: ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას, სოფლის მეურნეობის დარგებისა და ენერგეტიკის განვითარებასა და ქართული ფეხბურთის აღორძინებას, - სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის „მერკოსურის“ კავშირის არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის ქვეყნებთან თანამშრომლობით. აგრეთვე სხვადასხვა სახის საწარმოების შექმნას თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. ასევე, ორმხრივი კულტურული, სპორტული, ტურისტული და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

არგენტინელი საქმიანი წრეების წარმომადგენლები მზადყოფნას გამოთქვამენ შეხვედრები გამართონ საქართველოს დარგობრივი სამინისტროების, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს რეგიონების: კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს მუნიციპალიტეტების მერიების, აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და კერძო სტრუქტურების ხელმძღვანელ პირებთან, ა.წ. 27 ივნისიდან 8 ივლისამდე.

ბრაზილიის ტელევიზიის მიერ შეიქმნება 45-წუთიანი სარეკლამო გზამკვლევი ფილმი საქართველოს პოპულარიზაციისა და სხვადასხვა ეკონომიკური სეგმენტების პოტენციალის ადგილზე შესწავლისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით!!!

ამასთან ერთად, განზრახულია ა.წ. 27 ივნისს, 21 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის საქართველო-ნიდერლანდების მატჩის საინტერესო კადრების კოლაჟის შექმნა ხვიჩა კვარცხელიას მონაწილეობით და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ საკონცერტო ნომრების გადაღება .

აგრეთვე, 28 ივნისს, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“, მუსიკოს-შემსრულებლების სოფო ხალვაშისა და რომან რცხილაძის საკონცერტო ნომრების გადაღება, რომლებიც ჩვენს მიერ წარდგენილი არიან არგენტინის რესპუბლიკაში საგასტროლო მოგზაურობისათვის!

ჩვენთვის და საქართველოს საზოგადოებრიობისათვის ცნობილია თქვენი უდიდესი პატივისცემა საქართველოს პატრიარქის, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის, ელგუჯა მეძმარიაშვილის, რობერტ სტურუას, თენგიზ მუშკუდიანის, ფრიდონ სულაბერიძის, ვაჟა აზარაშვილის, გიორგი სიჭინავასა და რევაზ ძოძუაშვილის მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. აღნიშნული პიროვნებები დაჯილდოებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელოვნებისა და მეცნიერების ორგანიზაციის (www.unota.org) მიერ. აღნიშნული პიროვნებებისათვის სერტიფიკატების გადაცემას ვგეგმავთ საზეიმო ვითარებაში 27 ივნისსა და 8 ივლისს შორის.

გთხოვთ ღონისძიებების წარმატებით განხორციელების მიზნით, დაგვაკავშიროთ თქვენი ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურებთან.

— ოქროდ სიცყვით —

მშვილდოსნობა

სიონი (შვეიცარია). ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა ევროპის თასი. 18-წლამდელები. **ოქრო** – დავით ბასილაძე. მან საკვალიფიკაციო ეტაპზე მერვე ადგილი დაიკავა, პლეი-ოფში კი დანიელ და 2-2 ფრანგ და იტალიელ მეტოქეს სძლია.

გოგონათა ახალგაზრდულ გუნდურ ტურნირში ქართულმა ტრიომ (ხარშილაძე, მახარაშვილი, მწყერაშვილი) მეოთხე ადგილი დაიკავა.

შვიდკაცა

ალგერვე (პორტუგალია). რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. **მეორე ადგილი** – საქართველო. მართალია, ბორჯღალოსნებმა ტურნირი 2 წაგებით დაიწყეს (იტალიასთან – 14:17, გერმანიასთან – 7:26), მაგრამ შემდეგ ზედიზედ სძლიეს რუმინეთს – 24:7, ფავორიტ ესპანეთს მეოთხედფინალში – 24:12, ელიტურ საფრანგეთს ნახევარფინალში – 14:7 და ფინალი ირლანდიასთან დათმეს – 10:19.

ბესიკ ხამაშურიძისა და **გია ლაბაძის** გაწვრთნილი გუნდი მეორე ეტაპზე ჰამბურგში ითამაშებს, ხოლო მანამდე პოლონურ კრაკოვში ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირია.



ჩოგბურთი

საფრანგეთის ღია პირველობა (როლან გაროსი). ქალები. ფინალი. იგა შვიონტეკი (პოლონეთი) – კაროლინა მუხოვა (ჩეხეთი) 6:2, 5:7, 6:4. პოლონელს უკვე ოთხი დიდი სლემი აქვს მოგებული, მათ შორის სამი – პარიზში და 2 – ზედიზედ. **ვაჟები.** ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) – კასპერ რუუდი (ნორვეგია) 7:6, 6:3, 7:5. გენიალურმა სერბმა დიდი ხნის ოცნება აისრულა და მოპოვებული დიდი სლემებით რაფაელ ნადალს გაუსწრო – 23(!).

ძიუდო

პოდცერტრეკი (სლოვენია). ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი. გუნდური მეოთხე ადგილი და 17(!) მედალი – საქართველო. **ოქრო** – დავითაშვილი, წიფიანი, მოდებაძე, მერებაშვილი, ჩუბინიძე, იაკობიშვილი. **ვერცხლი** – ბასოშვილი, ბექაური, ცოციაშვილი, რეზესიძე. **ბრინჯაო** – უძილაური, მახათაძე, გობეჯიშვილი, ახრახაძე, მულაძე, თამლიანი, ლორიაშვილი.

კალათბურთი

დენვერმა ფინალური სერია 4:1 მოუგო მაიამის და პირველად გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ბოლო შეხვედრაში ნაგეთსმა ჰითს 94:89 სძლია, მისმა ლიდერმა და დასკვნითი რაუნდის MVP-მ **ნიკოლა იოკიჩმა** კი **მაიკლ მელოუნის** გუნდს 28 ქულა, 16 მოხსნა და 4 პასი შესძინა.



სპორტის დიდი მეგობარი

86 წლისა ლეიკემიით აღესრულა მილანის ყოფილი პრეზიდენტი და იტალიის სამჯერ არჩეული პრემიერი **სილვიო ბერლუსკონი.** მის სახელს უკავშირდება ლომბარდიული გრანდის მფლობელის 30-წლიანი ოქროს ეპოქა, რაც 29 ტიტულში აისახა, მათ შორის 8 სკუდეტოსა და 5 ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფთან.



იური, რუსიკო, გუგა, კოკი ოსიპოვი-ძავძანიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის ნათელმირონი და ერთგული მეგობარი, თავის პროფესიაში უმწიკვლო ადამიანი და დიდი პიროვნება

როლანდ გილიგაშვილი

ვახტანგ კაჭარავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ზაზა ლებანიძე



72 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი პოეტის, საზოგადოებისთვის სათაყვანებელი პიროვნების — მურმან ლებანიძის ვაჟიშვილი **ზაზა ლებანიძე** — გეოლოგიური ფონდების მართვისა და ანალიზის სამსახურის უფროსი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სედიმენტოლოგი, ბიოსტრატიგრაფი, გეოეკოლოგი, გარემოს დაცვის მენეჯერი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის გეოლოგიური ფონდების მართვისა და ანალიზის სამსახურის უფროსი.

თბილისის 24-ე საშუალოსკოლელი (პლეხანოვზე), მეგობრებისა და მეზობლობაში გამორჩეული სისადავითა და უბრალოებით, თავაზიანი და ყურადღებიანი პიროვნება გახლდათ. გარდა ოჯახიშვილობისა, ყოველთვის ცდილობდა თავისი სითბო და სიყვარული გამოეხატა. იყო ქვეყნისა და ქართული საზოგადოების მოყვასი და მოამაგე. ამავე დროს პირდაპირი, თუ ვინმეს სიყალბეს შეამჩნევდა. ზაზას დაკრძალავენ დედ-მამასთან და ფიქრიასთან ერთად. დიდებული და სამაგალითო ოჯახი აცხონოს ღმერთმა. ყოველთვის გავიხსენებთ ამ შესანიშნავ, ღირსებულ ადამიანებს. ნათელში იყვნენ.

მეგობრებისა და
თანაკლასელებისა და მეზობლების სახელით:

**გურამ მჭედლიშვილი,
ლიკა აბშილავა, მალხაზ დოლიძე.**

სპარტაკ ძოგულია, ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე, გიორგი ლაშხი, თამაზ მგელაძე, ირაკლი გელოვანი, დავით გრიგორაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

ზაზა ლებანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ფოთი მასპინძლობს

ფოთი საერთაშორისო პლენერს „პალიტრა ფოთი-2023“-ს მასპინძლობს. ფესტივალის ფარგლებში ფოთს მხატვრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ეწვივნენ.

უცხოელი ხელოვანები სხვადასხვა თემატიკის ფერწერულ ტილოებს ქართველ მხატვრებთან ერთად შექმნიან. პროექტის მიზანი სახვითი ხელოვნების განვითარება და ადგილობრივი მხატვრების წარმოჩენაა. ფერმწერებს საშუალება ეძლევათ პროექტში ჩაერთონ, შექმნან ახალი ნამუშევრები და ამასთან, მონაწილეობა მიიღონ ფერწერული ნამუშევრების ფონდის შექმნაში.

წყალტუბოდან - მოლდოვაში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის, გენადი გალანჩივაძის მხარდაჭერით, წყალტუბოსთან დამეგობრებულ ქალაქ უნგენში (მოლდოვა) გუშინ ოთხი ახალგაზრდა გაემგზავრა.

წყალტუბოელი ახალგაზრდები პოლონელ, რუმინელ და მოლდოველ თანატოლებთან ერთად ქალაქების ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების შესახებ ტრენინგებს დაესწრებიან და ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ.

„ჩემი განსაკუთრებული მხარდაჭერა ყველა იმ ახალგაზრდას, ვინც მუდმივად ცდილობს განვითარებას, ვისაც აქვს პროგრესული იდეები და სურვილი, ჩაერთოს წყალტუბოს პოპულარიზაციის პროცესში. ამ ეტაპზე ასეთი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაემგზავრა საზაფხულო ბანაკში, მსგავსი სახის აქტივობები ვფიქრობ აუცილებელი და საჭიროა, როგორც გამოცდილებათა გაცვლის, ასევე, ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ“, – აცხადებს გალანჩივაძე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რეიხან ბაირამოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რეიხან ბაირამოვა (პ/ნ 28001058705), მარნეული, ს. იმირი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ს. იმირი (საკადასტრო კოდი: 83.09.15.231 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37940.18 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 14 ივნისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 28 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89956523;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 899565

6. **მოვალე:** რეიხან ბაირამოვა (პ/ნ 28001058705), მარნეული, ს. იმირი;

ელშან ბაირამოვი (პ/ნ 28001109300), მარნეული, ს. იმირი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89956523; ლოტის ნომერი: 899565).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 28 ივნისის 12:00 საათამდე.

განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2014 წლის 5 მარტს გარდაცვლილი მოქალაქე როზალია რაიხმანი (დაბადებული 1929 წლის 16 05. პ/ნ:61007002408. გარდაცვალების მოწმობა №77237000588) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმი,მახინჯაურის დასახლება ახალგაზრდობის ქუჩა №18 ბინა №13-ის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2021 წლის 27 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე სულიკო გვიანიძე (დაბადებული 1950 წლის 19. 10. პ/ნ:61006001559. გარდაცვალების მოწმობა №77237000606) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა №24-ში ბინა №13-ის (ს/კ: 05.35.27.044.01.013.) 1/5 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ თეატრალური ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა. ღონისძიებას თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, რომელმაც პირველი ფესტივალი შეაჯამა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. 13 სპექტაკლიდან ჟიურიმ გამოავლინა პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული თეატრები.



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი – მარნეულის კულტურის ცენტრის სპექტაკლი „მარინა რევია“ (ჯილდო 15 000 ლარი).

მეორე ადგილი – ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების მუნიციპალური თეატრის სპექტაკლი „უსამშობლო კაცი“ (ჯილდო 10 000 ლარი).

მესამე ადგილი – სამტრედიის დრამატული თეატრისა და დმანისის სახელმწიფო თეატრის კოპროდუქციული სპექტაკლი „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ (ჯილდო 5 000 ლარი).

გამარჯვებულებმა, ფულად პრემიებთან ერთად, კომპანია „ზარაფხანის“ მიერ სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადებული ჯილდოებიც მიიღეს. ასევე, ფესტივალის მონაწილე თეატრებს გადაეცათ სპეციალური სიგელები.

3 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტმა პირველად უმასპინძლა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის, ინიციატივით დაფუძნებულ სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს. ფესტივალში მონაწილეობდნენ სახალხო სამოყვარულო თეატრალური დასები, ასევე – პროფესიული სახელმწიფო თეატრები სამოყვარულო დასებთან შექმნილი ერთობლივი სპექტაკლებით.

თეატრალური ფესტივალი სიღნაღში ყოველწლიურად ივნისში ჩატარდება. მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული სახალხო თეატრების წარმოდგენები და ამავე სამოყვარულო დასებისა და სახელმწიფო თეატრების ერთობლივი სპექტაკლები.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ახალგაზრდა რეჟისორი **სანა ასლამაზიშვილი**.

TBILISI OPEN AIR - ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ რეგიონში ყველაზე დიდი მუსიკალური ფესტივალი Tbilisi Open Air იწყება.

ფესტივალი 23, 24 და 25 ივნისს ლისის საოცრებათა ქვეყანაში ჩატარდება. 3 დღის განმავლობაში 4 საფესტივალო სცენას საყოველთაოდ ცნობილ უცხოელ არტისტებთან: Kaleo, Moderat, Rejjie Snow, Imany, Ben Klock, Liquid Soul ერთად, ქართული მენდები Bedford Falls, Circus Mircus, Skazz და სხვა მუსიკოსები დაიკავებენ. 23 ივნისს კი ფესტივალის მთავარ სცენაზე ინგლისელი შემსრულებელი Tom Odell წარსდგება.

კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური მუსიკალური ღონისძიება Tbilisi Open Air 2009 წელს Altervision Group-ის ინიციატივით დაარსდა, ფესტივალში მონაწილეობა 1000-ზე მეტმა შემსრულებელმა მიიღო, მათ შორის იყვნენ მსოფლიო დონის ისეთი არტისტები და ჯგუფები, როგორიცაა: Deep Purple, Placebo, DDT, Archive, Tricky, UNKLE, Sevdaliza, Roman Fluge.

14-ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ

ᲚᲝᲡ ᲙᲐᲘᲠᲔᲜ ᲙᲣᲐᲖᲘ ილონ მასკის კომპანია SpaceX-ის ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი გახდა. ის მალე Starlink-ზე მომუშავე გუნდს პროგრამული ინჟინრის ფუნქციით შეუერთდება, რის შესახებაც ინფორმაცია მოზარდმა LinkedIn-ზე გაავრცელა.

ახალგაზრდა მალე სანტა-კლარას უნივერსიტეტში სწავლას დაასრულებს და კალიფორნიიდან ვაშინგტონში გადავა, რათა ქალაქ რედმონდში Starlink-ის გუნდთან ერთად მუშაობა დაიწყოს. მისი თქმით, გამოწვევებით სავსე პრობლემების მოგვარება და საყოველთაო კეთილდღეობის მომტან სერვისებში ინოვაციების შემუშავება სურს.

კაირენ კუაზი 2 წლის იყო, როცა მთლიან წინადადებებს გამართულად ამბობდა. ის განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა მათემატიკისა და ფიზიკის მიმართ. ასევე, თანატოლებისგან (და არამხოლოდ) მაღალი IQ-თი გამოირჩეოდა, რის გამოც სკოლის პროგრამა ნაადრევად დახურა და სწავლის მომდევნო საფეხურზე გადაინაცვლა.

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲞᲔᲜᲘᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ სახლის სერვისების მიღება მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ადგილზევე იქნება ხელმისაწვდომი. პროექტი ქართული ინოვაციაა და ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ აქვს. იუსტიციის სახლის პირველი ფილიალი მე-16 პენიტენციურ დაწესებულებაში იუსტიციის მინისტრმა გახსნა.

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფთათვის იუსტიციის სახლის 50-ზე მეტი სერვისია ხელმისაწვდომი, მათ შორის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღება, დაბადების რეგისტრაცია, არასრულწლოვან შვილებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანხმობის გაცემა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები, მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენა, განქორწინების რეგისტრაცია, ატესტატის აღება, ინდმეწარმედ რეგისტრაცია და სხვ. სერვისის მიღებას მსჯავრდებულები წინასწარი დაჯავშნით შეძლებენ.

ფილიალები პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებსაც მოემსახურება. პენიტენციურ სისტემაში იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნის შემდეგ მსჯავრდებულებისთვის მომსახურება ზუსტად ისეთივე კომფორტული იქნება, როგორიც იუსტიციის სახლის ნებისმიერი ვიზიტორისთვისაა, სერვისცენტრისთვის განკუთვნილი სივრცე კი, სრულ შესაბამისობაშია იუსტიციის სახლების ინტერიერთან.

მე-16 პენიტენციურ დაწესებულებაში იუსტიციის სახლის ფილიალის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველი **ლევან იოსელიანი,** პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელი **მიხეილ სარჯველაძე,** იუსტიციის სახლის, აგრეთვე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები. იუსტიციის სახლის ფილიალი რუსთავის მე-5 (ქალთა) დაწესებულებაშიც ამოქმედდა და ეტაპობრივად სხვა დაწესებულებებშიც გაიხსნება. პროექტი იუსტიციის სახლსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ

ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ

ᲓᲣᲑᲐᲘᲨᲘ, კომპანიამ Five Hotels and Resorts პირველი კერძო თვითმფრინავი ACJ TwoTwenty რომელიც წვეულებებისთვის არის აღჭურვილი.

გამოცემის ინფორმაციით, თვითმფრინავის ღირებულება $80 მილიონს შეადგენს. ის Wi-fi-თა და მძლავრი ხმოვანი სისტემით არის აღჭურვილი, ხოლო ჭერში დიოდური ნათურები არის დამონტაჟებული. მორტზე ასევე არის საცეკვაო და სასადილო ზონები, კინოდარბაზი, შხაპი და საწოლი.

თვითმფრინავში 16 ადამიანამდე ეტევა, მისი დაქირავება კი საათში 413 ათასად შეიძლება. ხომალდი შვეიცარიულმა საავიაციო კომპანიამ Comlux შექმნა. Five hotels and resorts-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ალოკი ბატრამ განმარტა, რომ თვითმფრინავი უკვე გამოიყენა პროფესიონალმა ფეხბურთელმა, ახლო აღმოსავლეთიდან მადრიდში გადასაფრენად, კიდევ ერთმა კლიენტმა კი ხომალდი კარიბის ზღვის კუნძულებზე ორკვირიანი მოგზაურობისთვის დაჯავშნა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ

�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გებელი ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲠᲝᲚᲝᲠᲘᲡ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲠᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.6057; ᲔᲕᲠᲝ - 2.8136;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2748;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.1589; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1101;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5314;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.7446

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+32
ᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+9,	ᲓᲦᲔ	+27
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+28
ᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+29
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+18,	ᲓᲦᲔ	+29

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge